ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“
+
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები ტომი 1
ამერიკული ზღაპრები
6 ლარი

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები 1
ამერიკული ზღაპრები



21 — 22 სექტემბერი, 2013 №224 (6225) ფასი: 30 თეთრი



## რატომ წავიდა არჩილ კბილაშვილი მოსკოვში

გვ.5

## ალეკო შალამბერიძე: „სააკაშვილი ხელისუფლების ხელში ჩაგდებას აპირებს“

გვ.3



## ვინ აპირებს პარლამენტის გაკონტროლებას

გვ.4



## თეა წულუკიანი: „ყველა მოსამართლეს ეშინია სასამართლოს თავმჯდომარის“

გვ.6



## შალვა ხაჭაპურიძე: ივანიშვილმა ხალხს უთხრა, მარგველაშვილი მე მჭირდებაო

გვ.2



## თემურ შაშიაშვილი: „ამერიკელებმა ყველაზე დიდი ფული მარგველაშვილში ჩადეს“

გვ.3





## ზურაბ აბაშიძე: „ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ყველაფერს გავაკეთებთ“

გვ.5



## გიორგი კვირიკაშვილი: „საქართველოს ეკონომიკა იზრდება“

გვ.5




## ვინ დგას ცრუ შეტყობინებების უკან

გვ.6

ISSN 1987-9385

# შალვა ხაჭაპურიძე: ივანიშვილმა ხალხს უთხრა, მარგველაშვილი მე მჭირდებაო

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესთან

***— ბატონო შალვა, ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ გიორგი მარგველაშვილის მხარდაჭერა ჩემს მხარდაჭერას ნიშნავსო. საზოგადოება კი აცხადებს, ის თუ მიდის, მხარი ვის დავუჭიროთო... აი, ამ საკითხში როგორ ვართ?***

— დიახ, ეს განწყობა ნამდვილად არის. სპორტის სასახლეშიც ხომ გაიმართა საკმაოდ დიდი შეხვედრა. იქ დაფიქსირდა პოზიციები. დავიწყოთ არჩევნებით და კანდიდატებით, ფაქტი ერთია, რომ დღეს ორი კონკურენტი დგას ერთმანეთის პირისპირ, მარგველაშვილი და ნინო ბურჯანაძე. სიმართლე გითხრათ, ბაქრაძეს კანდიდატად საერთოდ არ განვიხილავ. ახლა დანარჩენი ოპოზიციაც რომ გამოიჩენდეს გონიერებას და ერთ კანდიდატზე ჩამოყალიბდებოდნენ, იქნებ მესამე კონკურენტიც გამოკვეთილიყო. გუშინდელი შეხვედრის სლოგანმა, რომ კოჰაბიტაცია დამთავრდება, საერთოდ დააბნია საქართველოს მოსახლეობა მინდა გითხრათ. ბევრი მეკითხებოდა გუშინ, რომ რას ნიშნავს კოჰაბიტაცია დამთავრდება? ანუ ყველა ის საჩივარი, განცხადებები და ასე შემდეგ, ეს ყველაფერი დაიწყებს ამუშავებას? რა, არჩევნების შემდეგ ამერიკელები და ევროპელები იტყვიან, რომ მიდით ბიჭებო და ისე გააკეთეთ, როგორც საჭიროდ მიგაჩნიათო? სიმართლე გითხრათ, ეს ცოტა გაუგებარი იყო. შეიძლება ახსნა აქვს და მე ვერ გავიგე. ერთი რამ ფაქტია, რომ არჩევნებზე გამოცხადება იქნება ძალიან დაბალი. აქტიურობა არ იქნება.

***— რატომ ფიქრობთ ასე?***

— ზუსტად იმ ფაქტორის გამო, როდესაც ბიძინა ივანიშვილი ამბობს მივდივარ, სწორედ ეს კითხვები ჩნდება, რაც თქვენ ბრძანეთ, თუ შენ მიდიხარ, ჩვენ ხმა ვის მივცეთ, მაშინ რას ვშვებით? ხალხს ეს კაცი მიაჩნია ლიდერად, რომელსაც შეუძლია ქვეყანა სერიოზული ჩიხიდან გამოიყვანოს. თუ ის მიდის, მაშინ მარგველაშვილის ნდობა უნდა იყოს დიდი... ახლა მარგველაშვილის რეიტინგი ივანიშვილის რეიტინგთან რომ ვერც მოვა, ეს ორჯერ ორი ოთხია. ამიტომ ეს გარკვეულ დაბნეულობას იწვევს. გუშინ ბატონი ბიძინა შეეცადა თავისი პოზიციის დაფიქსირებას, რომ ამ შემთხვევაში მარგველაშვილი მე ვარ და მე დამიჭირეთ მხარიო, დაახლოებით ეს იყო მთავარი მესიჯი. მან თქვა, რომ მარგველაშვილი ქვეყანას სჭირდება და მე მჭირდება. ახლა ვინც მიიღო ეს ასე, ბუნებრივია, წავა და მისცემს ხმას და ვინც არ მიიღო ასე ან არ წავა და თუ წავა, სხვა კანდიდატს დაუჭერს მხარს. ფაქტია, რომ ივანიშვილმა ჩვენს ქვეყანას დიდი საქმე გაუკეთა, მართალია არჩევნების შემდეგ ბევრ სფეროში სტაგნაცია იყო, აქეთ ეს თავს მოხვეული კოჰაბიტაცია, იყო შემაფერხებელი მიზეზები და ამიტომ ბიძინა ივანიშვილის ნათქვამი მე მივიღე ისე, როგორც ის ამბობს.

***— თქვენ შეიძლება მიიღეთ, მაგრამ საზოგადოება არ ღებულობს...***

— დიახ, საზოგადოება ამას არ ღებულობს. სწორედ ამ პრობლემის გამიჯვნა მინდა. საზოგადოების ნაწილი ამბობს, რომ მე ამ კაცს დავუჭირე მხარი და ამას ვთვლი ქვეყნის ლიდერად. თუ ეს მიდის, მაშინ სერიოზული კითხვის ნიშნები მებადება და ან საერთოდ არ წავალ ამ არჩევნებზე, ან თუ წავედი, სხვა კანდიდატს დავუჭირო მხარი. საზოგადოება ამას ამბობს. ჯერ დრო კიდეაა, თავზე მეტია დარჩენილი, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორი აქტიურობა იქნება წინა საარჩევნოდ. რომ გითხრათ, რომ ძალიან დაძაბული და აქტიური წინასაარჩევნო პერიოდია ქვეყანაში-თქო, ასე არ არის. ჩვენი კავკასიური ხასიათიდან გამომდინარე, მოგეხსენებათ, როგორი ემოციური ხალხი ვართ, პლუს ამას



ემატება ის უბედურება, რაც ჩვენ 9 წლის განმავლობაში გადავიტანეთ და ქართველი ხალხისთვის მისაღებია რაღაც უფრო აგრესიული, აქტიური წინასაარჩევნო კამპანია, ვიდრე ის, რაც დღეს მიმდინარეობს. დღეს პიჯაკებში კარგად გამოწყობილი კანდიდატები ხვდებიან სოფლებში და ქალაქებში მოსახლეობას და მოკლედ ეუბნებიან, რომ ყველაფერი კარგად იქნება. მე გუშინ შეხვედრა მქონდა და ამას იქაც ვამბობდი, რომ ივანიშვილის წასვლის შემდეგ პოლიტიკოსებს ძალიან გაუჭირდებათ ამომრჩევლის ნდობის მოპოვება. საერთოდ ძალიან რთული პროცესი იქნება.

***— რატომ, ბატონო შალვა?***

— იმიტომ, რომ მოდით ღიად ვთქვათ, ამ კოჰაბიტაციამ შოკში ჩააგდო ხალხი. უამრავი კითხვა ისმება, პასუხები არ არის. ხომ შეიძლება რომ კითხვაზე ან უარყოფით ან დადებით პასუხს ილებდე, ისეთი სიტუაციაა, რომ ვერანაირ პასუხს ვერ ილებ. ადრე იყო ასეთი კითხვა — გვეშველება რამე? ახლა კი ყველა კითხულობს — რა ხდება? და ამაზე პასუხი არავის არა აქვს. ეს ყველაფერი კი ამომრჩეველზე ზემოქმედებას ახდენს. ამ რა ხდება, რა ხდებაში ხდება ის, რომ წამოვიდა ეს შენი ნაციონალური მოძრაობა და თუ არ ვცდები, 120 ათას კაციანი ხელმოწერა მიიტანა ბაქრაძის მხარდასაჭერი. ახლა იმ 120 ათასი კაცის ტვინში ჩამახედა რა. ანუ ის ძალა, რომელიც ჩვენ გვეგონა, რომ გარდაიცვალა და გავიდა საქართველოს პოლიტიკური ავანსცენიდან, ნურას უკაცრავად ბატონო, თურმე ნაციონალური მოძრაობა ცოცხალია და აღდგა ფენიქსივით მკვდრეთიდან. ეს მივიღეთ ჩვენ კოჰაბიტაციის შედეგად. ამიტომ დღის წესრიგში დგება სულ სხვა ამოცანები.

***— რა ამოცანები?***

— კი ბატონო, ჩატარდეს ეს საპრეზიდენტო არჩევნები, თუ დარჩება ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში, რასაც მე მივესალმებოდი, მაშინ უნდა წავიდეს აქტიური მუშაობა იმისთვის, რომ ეს კოჰაბიტაცია ერთხელ და სამუდამოდ მართლაც დამთავრდეს და ქვეყანა გადავიდეს ნორმალურ რეჟიმში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის პატრიოტთა ძალები და ქვეყანაზე შეყვარებული ადამიანები, რომლებიც დღეს განზე არიან და მხოლოდ პროცესის მაყურებლის როლში არიან, ეს ძალები არ დარჩებიან პროცესის მაყურებლის როლში, გააქტიურდებიან და დაიწყება სულ სხვა და ახალი პროცესები, რაც ზოგადად მისასალმებელია. იმდენად დიდია ბიძინა ივანიშვილის ნდობის ხარისხი, რომ დღეს ბევრი ნიჭიერი პოლიტიკოსი თუ საზოგადო მოღვაწე მაყურებლის როლშია. თუმცა, როგორც კი ბიძინა ივანიშვილი იტყვის, რომ მე პოლიტიკიდან მივდივარ, რა თქმა უნდა, ეს ხალხი მაყურებლის როლში აღარ დაჯდება და ჩაერთვება აქტიურ პროცესებში. მინდა გითხრათ, რომ სწორედ აქედან გამომდინარე, ბევრად უფრო საინტერესო იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ იმ პერიოდისთვის გაიმართოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიც.

***— გეთანხმებით, საზოგადოება ამ არჩევნებს გაცილებით დიდ მნიშვნელობას მიანიჭებს, რადგან საუბარია, რომ პარლამენტი მომავალ პრეზიდენტს სრულიად უუფლებოს ტოვებსო...***

— ჩვენ, ვინც პოლიტიკაში ვართ, კარგად ვხედავთ, რომ ჩვენ გადავდივართ საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე, სადაც პრეზიდენტს მედიატორის როლიც კი აღარ აქვს. პრეზიდენტს იმის ნახევრის ნახევარი უფლებებიც აღარ ექნება, რაც დღეს სააკაშვილს აქვს და ეს კარგია. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი არის დემოკრატიის საფუძველი, სადაც ხელისუფლება არ არის დანაწილებული, იქ დემოკრატია ვერ არსებობს. დღეის მდგომარეობით რომ ვილაპარაკოთ, დღეს ჩვენ რა გვაქვს? ადგილობრივ დონეზე ყველაფერი ნაციონალების ხელშია, რამდენიმე რაიონის გამოკლებით და იქაც ვხედავთ, რომ საკრებულოები ნაციონალების ხელშია. სასამართლო ხელისუფლება, თუ არ გამოვაკლებთ რამდენიმე ჯგუფს მოსამართლეებისა, ისევ ნაციონალების დიქტატის ქვეშ არიან და ისევ მათ ემორჩილებიან. დღეს სახეზეა ხელისუფლების ორი შტო და ყველგან ისევ ნაციონალები არიან. მეტიც, საგარეო პოლიტიკაში, მაგალითად, ბევრ ქვეყანაში ისევ ნაციონალების დანიშნული ელჩები არიან. მე იმას კი არ ვამბობ, რომ რადგან ნაციონალის დანიშნულია, მაინცდამაინც უნდა მოხსნა და გაუშვა, მაგრამ მე დანაწილების პრინციპზე ვსაუბრობ. დღეს ჩვენ სახეზე გვაქვს კოალიციურ-კოჰაბიტაციური ხელისუფლება. ხელისუფლება არ არის მარტო პარლამენტი და პრემიერ-მინისტრი, ანდა მინისტრები. არის აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლება, ასევე არის ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია, რომელიც ფაქტობრივად ისევ ნაციონალების ხელშია. არავის რ ეგონოს, რომ რადგან ცენტრალური კომისიის თავმჯდომარე წავიდა, იქ რაიმე შეიცვალა. ქვედა რგოლები მთლიანად ნაციონალების ხელშია და, რა თქმა უნდა, ცდილობენ, რომ ეს ყველაფერი შეინარჩუნოს და გაიმყაროს პოზიციები, რითაც საზოგადოება ძალიან ღიზიანდება. იქმნება იმის სურათი, რომ ნაციონალური მოძრაობა მართლაც არის მეორე პოლიტიკური ძალა საქართველოში, ქართული ოცნების შემდეგ. რაც ყველამ იცის, რომ რეალურად ასე არ არის.

***— სწორედ ამიტომ არის ხალხში უსამართლობის განცდა...***

— დიახ, ამიტომაც არის ამ კოჰაბიტაციის წინააღმდეგ ასეთი აგრესია და ხალხში უსამართლობის განცდაა შექმნილი. ამ პროცესებმა ბევრში ნიჰილიზმი გამოიწვია და იმბობს, რომ საერთოდ არ მივდივარ ამ არჩევნებზე და ვინც უნდათ და რაც უნდათ, ის აირჩიონო. ბევრი ამბობს, რომ საერთოდ ქვეყნიდან მინდა წავიდეო, უკვე მეოთხე ნაკადი წამოვიდა ქვეყნიდან წამსვლელთა მსურველების. თუმცა მინდა ყველა დავამშვიდო და ვუთხრა, ვცდილობ ყოველთვის ოპტიმისტი ვიყო, ბიძინა ივანიშვილმა ყველაზე მნიშვნელოვან პროცესს ჩაუყარა საფუძველი, როცა თქვა, რომ მე მივდივარ. ანუ ყველა პოლიტიკური ძალა რჩება თანაბარ პირობებში, არის პარლამენტში თუ არ არის, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ყველა რჩება თანაბარ პირობებში, ყველას ეძლევა ერთიანი სასტარტო შესაძლებლობა. დანარჩენი მათ პოლიტიკურ გამჭრიახობაზეა დამოკიდებული. თუმცა განცდას უსამართლობისას ზუსტად ის იწვევს, რომ რატომ უნდა იყოს ნაციონალური მოძრაობა იგივე სასტარტო მდგომარეობაში, როგორც ვთქვათ, სხვა პოლიტიკური ძალა. ანუ სამართლიანობის განცდა ქვეყანაში დაკარგულია. იმისთვის, რომ აღდგეს სამართლიანობის განცდა, ეს საპრეზიდენტო არჩევნები ამ პროცესს ვერ უშველის. ეს არის ილუზია, რომ ასე შეზღუდული უფლებების მქონე პრეზიდენტი ამ სიტუაციას რომ ვერ გამოასწორებს, ეს ფაქტია.

***— და მივდივართ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებამდე?***

— დიახ, იმისთვის, რომ დაბალანსდეს ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრება, გვინდა არ გვინდა, მივდივართ ვადამდელ არჩევნებამდე. ამაშიც ნუ ვხედავთ პრობლემას, იტალიაში და კიდევ ბევრ ქვეყანაში არჩევნები და მთავრობების ცვლა ყოველ ერთ წელიწადში ხდებოდა. თუ არ ვცდები, 50 მინისტრთა კაბინეტია შეცვლილი იტალიაში და არ დაქცეულა ეს ქვეყანა. პირიქით, რაც მეტი ჯანსაღი პროცესი მოხდება, მით უკეთესი. რაც გასაწმენდია, ის უნდა გაიწმინდოს. ვისაც პოლიტიკაში ყოფნა ჯიბის გასასქელებლად უნდა, ბიზნესების გასაძლიერებლად უნდა, ისინი უნდა წავიდნენ ხელისუფლებიდან. თუ ბიზნესის კეთება უნდათ, მაშინ ბიზნესში წავიდნენ. პოლიტიკაში ის ხალხი უნდა იყოს, ვისაც ქვეყნის ბედისა და მომავალზე შესტკივა გული და თვლის, რომ მისი ყოფნით რაღაცას შეცვლის უკეთესობისკენ. ახლა საპრეზიდენტო არჩევნებით რომ სიტუაცია არ შეიცვლება და ვერანაირ შედეგს ვერ მივიღებთ, ამაში ვერ დამარწმუნებს ვერავინ. აგერ მე და აგერ თქვენ, ნახავთ, დღის წესრიგში აუცილებლად დადგება ვადამდელი არჩევნების საკითხი.

***— ხელისუფლება რომ ამის წინააღმდეგია?***

— არაო, იძახის ბევრი, მაგრამ ეს საკითხი დღის წესრიგში დადგება. როგორ, რანაირადო, იძახიან, მაგრამ მაგის საკონსტიტუციო საფუძვლებიც არსებობს. ქვეყანაში კრიზისი უნდა შეიქმნას და დღეს ეს კრიზისი არ არსებობსო. მე გეუბნებით, რომ შეიქმნება ასეთი კრიზისი. რაც არ უნდა ჩეხონ ახლა კონსტიტუცია აქედან და იქიდან, კონსტიტუციაში ამის საფუძველი მაინც მოიძებნება და ხალხი სწორედ ამ ცვლილებას დაუჭერს მხარს, რადგან ხალხს უნდა რეალური ცვლილებები. დაიღალა ხალხი, უკვე 25 წელიწადია ამ მდგომარეობაში ვართ. ხალხს უკვე უნდა რეალური ცვლილებები. ამ რეალურ ცვლილებებს კი სჭირდება ქვეყანაზე შეყვარებული ადამიანები და არა ის რაღაცა დაჯგუფება, რომლებიც თავის თავს პოლიტიკოსებს უწოდებს, რომლებიც ნაციონალებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებში არიან. ამდენ საშინელებებს უყურებს ხალხი, გუშინ ნაციონალი იყო და დღეს ქართული ოცნების წევრი გახდა. ორი დღის წინ ამართლებდა ნაციონალების პოლიტიკას და დღეს გმობს. ამის ატანა საკმაოდ ძნელია. აღარ უნდა ხალხს ეს კომკავშირული და პარტიული შეხვედრები, ხალხს სიცოცხლე უნდა, ევროპული ცხოვრება უნდა. ვეღარ გავიგეთ, ნატოშიც მივდივართ და ევროაზიულ კავშირშიც მივდივართ... ერთად მივდივართ აქეთაც და იქითაც. ამნაირი მე მარტო კავკასიური ცარცის წრე მაქვს ნანახი, აქეთ-იქით რომ უქაჩავებენ იმ ბავშვს... უამრავი პასუხგაუცემელი კითხვაა და ძალიან მეეჭვება, რომ ამ კითხვებს პასუხი საპრეზიდენტო არჩევნებმა გასცეს. ამას სჭირდება სულ სხვა პოლიტიკური პროცესები. ბიძინა ივანიშვილის წასვლის შემდეგ ეს პროცესები აუცილებლად მივა ლოგიკურ დასასრულამდე. ამიტომ მე მაინც ოპტიმიზმად ვრჩები პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებაში.

***— თუმცა სამართლიანობის აღდგენას არაფერი ეშველა...***

— აქ ცოტა რთულად არის საქმე. ათასი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მოსამართლე, რომელიც იჯდა და სასწაულებს აკეთებდა, დღეს წამოყვანილია პროკურატურაში, პროკურორად მუშაობს და ბაჩო ახალაიას პროცესზე გამოდის. ზიხარ და ფიქრობ, რა არის ეს, რა უბედურებაა?! სხვა არავინ არსებობდა? საქართველოში გამოილია პროკურორი?! რა კითხვაა რატომ, ამაზე პასუხი ვინმეს აქვს დედამიწის ზურგზე? ნადოი რატომ უნდა გადაეყვანათ პროკურორად, კაცი, რომელიც იყო ქილერი მოსამართლე. სასწაულებს აკეთებდა. თავის დროზე ნაციონალების მარჯვენა ხელი იყო, წამოიყვანეს, დანიშნეს მოსამართლედ. ადვოკატი რომ გაიგებდა, რომ ნადოისთან მოხვდა საქმე, იმ პატიმარზე უკვე ხელი იყო ჩაქნეული. ეს კაცი დღეს ბაჩო ახალაიას პროცესზე გამოდის და სახელმწიფო მბრალდებელია. კარგით რა! მის გარდა პროკურორი აღარ არსებობს დედამიწის ზურგზე?! ამას რომ უყურებს ადამიანი, ბუნებრივია, კითხვები ებადება, ხომ! თუ არ უნდა დაგვებადოს კითხვები, მაშინ გაუშვან ამ სახელმწიფოში ბაზი, დაგვაძინონ ყველა და მერე გამოვიღვიძებთ, კოჰაბიტაცია რომ იქნება დამთავრებული.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალიაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ალეკო შალამბერიძე: „სააკაშვილი ხელისუფლების ხელში ჩაგდებას აპირებს“

შორენა მარსაგიშვილი

პარტია „თავისუფალი საქართველოს“ გენერალურ მდივან ალეკო შალამბერიძეს ბიძინა ივანიშვილის განცხადებებმა იმედები კიდევ ერთხელ გაუცრუა. მას უკვე კარგა ხანია აღარ სჯერა სამართლიანობის აღდგენის, ახლა კი დარწმუნდა, რომ ამ ხელისუფლების პირობებში სამართალი პურს ვერ შეჭამს. რა საფრთხის მომტანია კოაბიტაცია, რატომ უნდა გასამართლდნენ ნაციონალები, რითი არ უნდა მოიწონოს ივანიშვილმა თავი, ამ თემებზე ალეკო შალამბერიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

— 19 სექტემბერს გამართულ თავყრილობაზე ბიძინა ივანიშვილმა ხალხს მოუწოდა, კიდევ ერთხელ მენდეთო. ნდობის მოთხოვნა, თქვენი აზრით, რაში დასჭირდა, აღარ ენდობა ხალხი?

— სამწუხაროდ, აღარ ენდობა. ბიძინა ივანიშვილმა შესანიშნავად იცის, რომ მისი რეიტინგი ისეთი აღარ არის, როგორიც შარშან იყო. ამასთან, მას სურს, კიდევ ერთხელ დარწმუნდეს საკუთარ ძალებში, რადგან პოლიტიკიდან წასვლა სერიოზულად აქვს გადაწყვეტილი.

— თუმცა, იმავე შეხვედრაზე განაცხადა, არსად არ მივდივარ, ვრჩებიო. ერმა ვერ გაიგო, მიდის თუ რჩება?

— აბა, რა გითხრათ. როგორც სიყვარულს და მარტის ამინდს ვერაფერს გაუგებს კაცი, ასევე ივანიშვილის ზრახვების ამოცნობაა შეუძლებელი. მას არც ერთი წინასაარჩევნო დაპირება არა აქვს შესრულებული. ამით თუ ვიმსჯელებთ, არც ამ დაპირებას შეასრულებს და დარჩება.

— თქვენი აზრით, უნდა დარჩეს თუ არა?

— უნდა დარჩეს! ხმა მაგას მისცა ხალხმა და არა მის მემკვიდრეებს. იმედი მაქვს, რომ არც ამ დაპირებას არ შეასრულებს და დარჩება. ქვეყანაში არასახარბიელო ვითარებაა და მისი წასვლის შემთხვევაში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბება. მე მის მიერ გადადგმული ბევრი ნაბიჯი არ მომწონს. ამის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ უნდა დარჩეს. მემკვიდრის დასახელება დემოკრატიის ნიშანი არ გახლავთ. დიდი დემოკრატიულობით არ გამოვირჩევით, მაგრამ, იმდენად დემოკრატიულები კი ვართ, რომ ხელისუფლება არჩევნების გზით შევცვალეთ. ასეთი ტიპის დემოკრატია კი მემკვიდრეებს ვერ იტანს და, როგორც არისტოტელე იტყოდა, მემკვიდრეობა გადადის ტირანიაში.

— ზემოთ აღნიშნეთ, ივანიშვილის მიერ გადადგმული ნაბიჯები არ მომწონსო. კონკრეტულად რას უწუნებთ?

— პირველი რიგში, ავადსახსენებელ კოაბიტაციას ვუწუნებ. ასევე არ მომწონს ის ფაქტი, რომ მან დღეს ქვეყანაში ფაქტიურად უკვე დანიშნა პრეზიდენტად გიორგი მარგველაშვილი.

— რატომ გგონიათ, რომ გიორგი მარგველაშვილი უკვე პრეზიდენტია. ეგება ამ არჩევნებს ნინო ბურჯანაძე, დავით ბაქრაძე ან მიხეილ გელა სალუაშვილი იგებს.

— გამორიცხულია, დღეს ვინმემ მოუგოს გიორგი მარგველაშვილს არჩევნები. ჩათვალეთ, რომ ის უკვე პრეზიდენტია. მართალია, ივანიშვილის რეიტინგი მკვეთრად დაეცა, მაგრამ ხალხი მაინც მის კანდიდატს დაუჭერს მხარს. სანამ ხალხი გაარკვევს, ვინ მონაწილეობს არჩევნებში, ვის რა პროგრამა აქვს, არჩევნები დასრულდება. სამწუხაროდ, ჩვენი მოსახლეობა პროგრამების გაცნობით ისედაც არ იწუხებს თავს. ახლაც ასე იქნება, ბიძინას ხათრით ყველა 41 ნომერს შემოხაზავს.

— გასაგებია, რომ 41 ბიძინას ნომერია და მოსახლეობას კარგად ჩაებეჭდა გონებაში. მაგრამ ხალხმა ისიც კარგად ჩაიბეჭდა, რომ ამ 41 ნომერმა არ შეასრულა უმთავრესი დაპირება — სამართლიანობის აღდგენა.

— ხალხზე ძალიან ცუდად მოქმედებს ის, რომ სამართლიანობის აღდგენა არ მოხდა. ამის მიუხედავად, ხალხი მაინც მათ მისცემს ხმას. ჩემი თუ არ გჯერათ, აგერ მოვა 27 ოქტომბერი და ვნახავთ. სამართლიანობის აღდგენაზე რადგან ჩამოვაგდეთ სიტყვა, ივანიშვილის კიდევ ერთ განცხადებას გავიხსენებ. სპორტის სასახლეში გამოსვლისას ის ამაყობდა იმითი, რომ საქართველოში კოაბიტაცია შედგა და ამის მთავარი ხელშემწყობი იყო თავად.

— ეს საამაყოა? რაღაც არ მახსოვს, ერს ივანიშვილისთვის ნაციონალებთან კოაბიტაცია დაეძალებინოს.

— საამაყო ნამდვილად არ არის. მე ისიც მიკვირს, ამ თემით რატომ დაიწ-



ყო ივანიშვილმა თავის მოწონება. ამ განცხადებამ საზოგადოების გაწბილება გამოიწვია. ამის მიუხედავად, 41 ნომერი მაინც კაშკაშებს.

— საპრეზიდენტო არჩევნებში 26 კანდიდატი მონაწილეობს. ეს, თქვენი აზრით, რისი მანიშნებელია?

— რისი და პოლიტიკური უკულტურობის. უფრო სწორად, პოლიტიკანების სიმრავლის დამსახურებაა. ზოგიერთი კანდიდატი ისეთია, 2 ცხვარს ვერ ანდობს კაცი, სამაგიეროდ, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობს. ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ. დემოკრატიას კი უამრავი პარადოქსი ახასიათებს. ასე რომ, შევეგუოთ კანდიდატთა სიმრავლეს. საქართველოში პირველკაცობა ყველას სურს.

— მრავალი კანდიდატის წყალობით გამარჯვებულის გამოვლენა ხომ არ გაჭირდება. ბევრი ექსპერტი ვარაუდობს, რომ საქმე მეორე ტურამდე მივა.

— არაფერი არ არის გამორიცხული. დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება“ ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ საქმე მეორე ტურამდე არ მივიდეს. მეორე ტური მათთვის დამღუპველი იქნება.

— რატომ იქნება დამღუპველი?

— მეორე ტურამდე თუ მივიდა საქმე, ჩათვალეთ, რომ მარგველაშვილი დამარცხებულია.

— ამ შემთხვევაში აღარ გაჭრის ივანიშვილის ფაქტორი?

— ვეღარ გაჭრის, ვერა, თან, კაცმა არ იცის, წინ რა პროცესები გველოდება.

— ჯერჯერობით ყველაფერი თითქოს მშვიდად მიდის.

— დადგება ოქტომბერი და მშვიდობით, სიმშვიდევ. ჩემი აზრით, ვითარება სერიოზულად დაიძაბება და დაიწყება შეჯახებები.

— რა შეჯახებები?

— ფიზიკურ ჯახს ნამდვილად არ ვგულისხმობ, პოლიტიკურ ჯახს კი გვერდს ვერ ავუვლით. ატყდება კომპრომატების ფრიალი. წინ საინტერესო ამბები გველოდება. მართალია, სამართლიანობის აღდგენას ვერ ვეღირსეთ, მაგრამ სანახაობა ნამდვილად არ მოგვაკლდება. ამ სანახაობაში მთავარ როლებს ნაციონალები, მეოცნებეები და ბურჯანაძის ხალხი შეასრულებს. დარწმუნებული ვარ, კობა დავითაშვილიც იტყვის თავის სათქმელს.

— დავითაშვილზე რადგან ვსაუბრობთ, მის ინიციატივაზე რას ფიქრობთ? ის ითხოვს, რომ ნაციონალებს საჯარო სამსახურებში თანამდებობის დაკავება კანონით აეკრძალოთ.

— კობას ამაში სრულად ვეთანხმები. ნაციონალებს მართლა უნდა აუკრძალო საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავება.

— მეოცნებეებმა დავითაშვილის ამ ინიციატივას დასცინეს.

— ისეთი გაქანებული კოაბიტაციაა ნაცებსა და ქოცებს შორის, რომ ნაციონალების დასჯას როგორ დაუშვებდნენ? ამიტომ არ მიკვირს მათი რეაქცია და არც იმის მჯერა, რომ 27 ოქტომბერს ესენი რამეს დაამთავრებენ.

— რამის დამთავრებაში კოაბიტაცია გაქვთ მხედველობაში?

— კოაბიტაციაზე მოგახსენებთ, გამოდიან და ხალხს ატყუებენ, 27 ოქტომბერს დავასრულებთო. მინდა ხალხმა გაიგოს, 27 ოქტომბერს არაფერიც არ დასრულდება. ამ პროცესით ივანიშვილი თავს იწონებს და მაგის დამსრულებელია? თანაც არ დაგვავიწყდეს, რომ ეს პროცესი დასავლეთის მიერ არის წახალისებული. იხ ხალხი, ვინ 27 ოქტომბრის შემდეგ ელოდება სამართლიანობის აღდგენას, ახალ წელს იმედგაცრუებული შეხვდება.

— თოვლის პაპის მაგივრად სააკაშვილიც ხომ არ გვესტუმრება?

— ეგ უკვე მეტისმეტი იქნება. თუმცა, მაგის ამბავი რომ ვიცი, ერთხელაც იქნება და მართლა მობრუნდება. ან რა სჭირს მოსაბრუნებელი, გაგანია პოლიტიკურ ეპიცენტრშია. ვნახოთ, როდემდე შემორჩება პოლიტიკას.

— თავად ამბობს, მე პოლიტიკიდან ვერავინ გამაგდებსო.

— მისი ეს განცხადება სერიოზულად უნდა მივიღოთ. სააკაშვილი ყველაფერს გააკეთებს, რათა ამ მახინჯ კოაბიტაციაში იპოვოს ხვრელი და ხელახლა დაბრუნდეს. ბოლო დროს მისი გამოსვლები რაღაც რიხიანი გახდა და თავის ჩადენილ უკანონობას მეოცნებეებს აბრალებს. 2003 წელს მან პრეზიდენტის სკამი თაღლითური გზით მოიპოვა. ახლაც იმავე გზის გავლა აქვს დაგეგმილი. რამდენიმე დღის წინ მან ქუთაისი აეროპორტში განაცხადა, ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით და დაწყებულ საქმეებს გავაგრძელებთო.

— დაბრუნების შანსები მართლა აქვთ?

— კოაბიტაციის პირობებში ამის შანსი ნამდვილად აქვთ. ეს არის ქვეყნისთვის ძალიან დიდი საფრთხე. ამიტომ პოლიტიკურმა ძალებმა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ნაციონალები უკან არ დაბრუნდნენ.

— დიდი აურზაური მოჰყვა სააკაშვილის მიერ 1000-მდე თურქეთის მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას. თქვენი აზრით, რა არის ამაში საგანგაშო?

— მაინცდამაინც საგანგაშო არ არის, მაგრამ აღშფოთებას მაინც იწვევს. საქართველოს მოქალაქეებთან სააკაშვილს სალაპარაკო აღარაფერი აქვს და ამიტომაც გავარდა თურქეთში, თანაც ისინიც მოატყუა. სრული პასპორტებიც კი არ მიუცია მათთვის. ეს მხოლოდ პიარისთვის გააკეთა. მისი ეს გადაწყვეტილება მიუთითებს, რა დონის ავანტიურისტია. არაფრით არ უნდა დავუშვათ, რომ ეს ავანტიურისტი უკან დაბრუნდეს. როდესაც გერმანია დამარცხდა, ევროპელებმა თქვეს, უკონტროლო ძალაუფლებამ გერმანელი ერი გარყვნა და ჩვენ მათ თუ არ დავსჯით, მათ ვერ გადავარჩენთო. ნიურნბერგის პროცესმა გერმანელი ერი გადაარჩინა. ჩვენც ახლა უნდა გავმართოთ მსგავსი სასამართლო ნაციონალებისთვის და ყველა მთავარი დამნაშავე უნდა დავსაჯოთ. თუნდაც იმიტომ უნდა დავსაჯოთ, რომ სხვა ხელისუფლებამ აღარ ჩაიდინოს მსგავსი რამეები. საჭირო თუ გახდა, არც მაღალი რანგის თანამდებობის პირების დასჯას არ უნდა მოვერიდოთ. მათ შორის არც პრეზიდენტის.

— თქვენ გჯერათ, რომ სააკაშვილი დაისჯება?

— რატომ არ უნდა დაისაჯოს? მას უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი. დასავლეთს თუ დავუმტკიცებთ, რომ ის მართლაც დამნაშავეა, მის დასაცავად ხმას არავინ ამოიღებს. წლების წინ ვიკილიქსმა გამოაქვეყნა სკანდალური მასალები. აშშ-ის ყოფილი ელჩი ჯონ ბასი სააკაშვილზე წერდა, ეს ძალიან საშიში პიროვნებააო.

— თქვენი პარტია პრორუსულ ძალად ითვლება. ამდენად, საინტერესოა, რას ფიქრობთ ხელისუფლების საგარეო კურსზე. სალომე ზურაბიშვილი და ირინა სარიშვილი ეჭვობენ, რომ საქართველომ გეზი რუსეთისკენ აიღო.

— არ დაიჯეროთ, რომ ხელისუფლება პრორუსული გახდა. რუსეთთან მინიმალურ დონეზე დაწყებული მოლაპარაკებები არაფერს ნიშნავს. ამასთან, დადებითი მოვლენაა. პოლიტიკური კურსის ცვლილებასთან საქმე ნამდვილად არა გვაქვს. ქართულ პოლიტიკაში პრორუსული ძალები არ არსებობენ. პრორუსულად ნინო ბურჯანაძესაც კი არ ჩავთვლი. ეგეც ნატოს მომხრეა. ნატოს მოწინააღმდეგე აქტიურ პოლიტიკაში, მგონი, მარტო გოგი თოფაძე იყო და მაგანაც გვიღალატა ნატოს მოწინააღმდეგეებს.

# თემურ შაშიაშვილი: „ამერიკელებმა ყველაზე დიდი ფული მარგველაშვილში ჩადეს“

შორენა მარსაგიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ ქართველი ხალხი ვალშია ბიძინა ივანიშვილთან და ამიტომ მეოცნებეებისგან ყველაფერი უნდა ავიტანოთ. ამ განცხადებამ საზოგადოებისა და პოლიტიკოსების გაღიზიანება გამოიწვია. აღშფოთება ვერც პარტია „თეთრების“ ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა დამალა. ის შეწუხებულია იმით, რომ ბიძინა ივანიშვილი არავის რჩევას არ ითვალისწინებს და ხალხის შეურაცხყოფაზეა გადასული.

— დიდი სურვილი მაქვს, ამ შეფასებაში ვცდებოდე. ეს ხალხმა განსაჯოს. თუმცა აქვე დავძენ, ადრეც ვიცოდი, მაგრამ დრო უამრავისთვის ადასტურებს, რომ ბიძინა ივანიშვილისათვის რჩევის მიცემა, მით უფრო მისი გაკრიტიკება, საკუთარი თავის მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებას ნიშნავს. არა უშავს, დრო ყველაფერს აფასებს და უფალი განსჯის. აქამდე ვენდობოდი დროს და უფალს და ფეხზეც მაგრად ვდგავარ. მთავარი სათქმელი კი ეს არის: რაც დრო გადის, ბიძინა ივანიშვილის ყოველი გამოსვლა შეურაცხმყოფელი ხდება უამრავი ადამიანისათვის. პირდაპირ ვთქვათ, ხშირად ქვეყნის, ხალხისა და მთელი ერისათვის შეურაცხმყოფელია, როცა დანაპირებს არ ასრულებ და გაკეთებულით კმაყოფილი ხარ. მოსახლეობის უმეტესობა გაჭირვებისაგან სულს ღაფავს, ხალხის თავზე წისქვილის ქვა ტრიალებს. მოსახლეობა სრულიად სხვას ელოდა, ბიძინა ივანიშვილის თვითკმაყოფილება აპოგეას აღწევს. შეურაცხმყოფელია, როცა მის გარემოცვაში ჩნდება აზრი, რომ „ქართველი ერი ვალშია ბიძინა ივანიშვილთან“. გიგანტები ჰყავდა საქართველოს თავისი ისტორიის მანძილზე, მაგრამ არავის გასჩენია აზრი, რომ საქართველო და ქართველი ხალხი ვინმეს წინაშე ვალშია. სინანულით წავიდა დიდი მეფე დავით აღმაშენებელი და შედევრი დატოვა: „გალობანი სინანულისანი“ და სიმდაბლით ამაღლდა, — განაცხადა საგანგებოდ გამართული ბრიფინგზე შაშიაშვილმა.

თეთრების“ ლიდერს ძალიან აინტერესებს იმის გარკვევა, თუ საიდან გაჩნდა 21-ე საუკუნის საქართველოში გადიდკაცების მანია.

— სამარცხვინოა. ტრაგედიას იმაში ვხედავ, რომ ივანიშვილის გარემოცვა პოლიტიკურ ჭაობად იქცა. შეიძლება, ასეთიც იყო, მაგრამ გუშინ სპორტის სასახლეში გამართულ შეკრებაზე ეს ყველაფერი რელიეფურად გამოჩნდა. ფარაონებს არ ელაპარაკებოდნენ ასე და ფარაონებზე არ საუბრობდნენ ასე. საქართველოში რომ არ დაბნელებულა, ვხედავთ, მაგრამ, როგორც ჩანს, სკამი, თანამდებობა და მონური ფსიქოლოგია აბნელებს არაერთი ადამიანის გონებას. არა მგონია, 21-ე საუკუნეში დასაშვები იყოს ასეთი გადიდკაცება, ასეთი თვითკმაყოფილება, ასეთი მენტორული ტონით საუბარი იმ ხალხთან, ვინც გენდო, ვინც აგამაღლა, იმედის თვალით გიყურებდა და გიყურებს დღესაც. 19 სექტემბერს თავის გამოსვლაში ბატონმა ბიძინამ თქვა: არაფერი გამოუვა, ვინც ჭორებითა და მითქმა-მოთქმით ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს ხალხი და არასწორი არჩევანის გაკეთებისაკენ უბიძგოსო. რა არის ჭორი, ის, რომ ამერიკის გარკვეულმა სექტანტურმა ჯგუფებმა ყველაზე დიდი ფული მარგველაშვილში ჩადეს? რა არის ჭორი, ის, რომ საქართველოში სხვადასხვა ამერიკული პოლიტიკური დაჯგუფების მიერ შექმნილი ორგანიზაციების: „თავისუფლების ინსტიტუტის“, „ენ დი აი“-ს და სოროსის ფონდის სათავეებთან მარგველაშვილი იდგა? ჩვენ ვუბიძგეთ ხალხს არასწორი არჩევანისაკენ, ვინც ვამბობთ, რომ ქვეყნის პრეზიდენტი და ხელისუფლება ქვეყნის გარედან არ უნდა იმართებოდეს, საკუთარ ხალხს უნდა ემსახურებოდეს და არ ეუფროსებოდეს? ჩვენ ვუბიძგეთ ხალხს არასწორი არჩევანისაკენ, ვინც ვამბობთ, რომ საქართველოს პრეზიდენტი არ უნდა იყოს არც „თავისუფლების ინსტიტუტის“, არც სოროსის ფონდის და არც „ენ დი აი“-ს დამფუძნებელი? ჩვენ შეგვყავს შეცდომაში ხალხი, ვინც ვამბობთ, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი თავისივე პოლიტიკურმა გუნდმა პოლიტიკურ ჭაობში ჩაითრია, ქვეყნის მომავლისათვის მის გადარჩენაა საჭირო და ეს გაცილებით მეტად შეუძლია იმ პიროვნებას, რომელიც მისი პოლიტიკური გუნდის წევ-



რი არ არის? — კითხულობს შაშიაშვილი.

ის იხსენებს ძველ გამოთქმას იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოებრივ ყოფაში აბსოლუტური ჭეშმარიტება არ არსებობს. შაშიაშვილს არც იმაზე აქვს პრეტენზია, რომ თავად ღაღადებს ჭეშმარიტებას. იმავეს ფიქრობს ივანიშვილის მოსაზრებებზე და რჩევებსაც აძლევს.

— არც ჩემი ნათქვამია აბსოლუტური ჭეშმარიტება, მაგრამ იქნებ თქვენც იფიქროთ იმაზე, რომ არც თქვენი ნათქვამია აბსოლუტური ჭეშმარიტება. ერთი რამ ნამდვილად ახლოსაა ჭეშმარიტებასთან: „სახალხო კრება“ არის ეროვნული განწყობის ძალა, რომელიც მიიჩნევს, რომ თქვენ საოცრად სჭირდებით ქვეყანას, რომ ქვეყნის გადარჩენა არც „ქართულ ოცნებაშია“ და არც რომელიმე სხვა პოლიტიკურ ერთობაში. ის ხალხშია და ამ ხალხს შეურაცხყოფას აყენებს ის, რომ ქვეყანას ჰყავდეს ერთი კაცის ხათრით არჩეული დეპუტატები, ერთი კაცის ხათრით დანიშნული მინისტრები და ერთი კაცის ხათრით დანიშნული პრეზიდენტი. პირდაპირ ვამბობ, ეს უკანასკნელი ხალხს რომ უნდოდეს, თქვენ თვითონ არ უნდა გინდოდეთ. რეალობა კი ასეთია: 21-ე საუკუნის საქართველოს არ აწყობს ერთ კაცზე ჩამოკიდებული სახელისუფლებო ვერტიკალი, მით უფრო, როცა ეს ერთი კაცი ამბობს, მე მივდივარ თანამდებობიდანო. როგორც ჩანს, საქართველოსა და ქართველი ხალხის ყველაზე დიდი შეურაცხყოფა წინაა და ის „ქართულ ოცნებაში“ იგეგმება: ის კაცი, რომლის ხათრითაც ირჩევა და ინიშნება მთელი სახელისუფლებო ვერტიკალი, ფორმალურად გადის ამ სახელისუფლებო ვერტიკალიდან და ხდება ქვეყნის რეალური მმართველი. არ მინდა ვიფიქრო, რომ თქვენ ამას აკეთებთ, — მიმართავს შაშიაშვილი ივანიშვილს.

მისი თქმით, რეალობა ძალიან სამწუხაროა და თუ ქართველ ხალხს, საქართველოს მოსახლეობას ღირსება გააჩნია, ეს არ უნდა დაუშვას.

— ქართველი ხალხი ჭორებს, მითქმა-მოთქმას, ხალხის შეცდომაში შეყვანას „ქართულ ოცნებაში“ ხედავს. ეს არის „ნაციონალური“ მმართველობის გაგრძელება, რომელსაც წერტილი უნდა დაესვას, — ამბობს „თეთრების“ ლიდერი.

# ვინ აპირებს პარლამენტის გაკონტროლებას

თამარ ნინიძე

**ექსპერტი მამუკა არეშიძე და გია კორკოტაშვილი პარლამენტსა და მთავრობაზე კონტროლის გამკაცრებას აპირებენ, საზოგადოებასაც მოუწოდებენ, რომ ხელისუფლებაზე ობიექტური კონტროლის სადავეები ხელში სრულყოფილად აიღონ და, სადაც გადაცდომებსა და ხარვეზებს შენიშნავენ, „ქართულ ოცნებას" გამოსწორებისკენ მიუთითონ.**

მიიღებს თუ არა მხედველობაში ამ ადამიანების შენიშვნებს „ქართული ოცნება", ეს მომავალში გამოჩნდება, მაგრამ ერთი წელი მალე გავიდა, რაც „ქართული ოცნება" ხელისუფლებაში მოვიდა, თანაც გაყალბებით კი არა, არამედ ელექტორატის არაჩვეულებრივი მობილიზების ხარჯზე, ამ ერთი წლის მანძილზე კი ჯერ პოზიტივზე საუბარი პრაქტიკულად შეუძლებელია. სამწუხაროა, რომ სულ უფრო მეტი ადამიანი, საზოგადოების ცნობადი სახეები ცდილობენ, ხელისუფლებას საკუთარ შეცდომებზე მიუთითონ. ივანიშვილის პრემიერობის დროს და ახალი პარლამენტის, უფრო ზუსტად კი ყოფილი ოპოზიციის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქვეყანაში, სამწუხაროდ, მართვადი ქაოსის მდგომარეობა შეიქმნა. შთაბეჭდილებაა, რომ ქვეყანას პრემიერი და პარლამენტი მართავენ, მაგრამ მაინც ადგილებზე კონკრეტულ შემთხვევებში ისეთი არეულობაა, მარჯვენა ხელმა არ იცის, მარცხენა რას იქმს.

მართალია, ივანიშვილი აცხადებს, რომ შურისძიების გრძნობას დღეს ბევრი ადამიანია აყოლილი და ბევრი მოითხოვს სამართლიანობის აღდგენას, მაგრამ ხელისუფლება არ აპირებს ამ ადამიანების მოწოდებების შესრულებას და ყველა ციხეში, სააკაშვილის ეს ცნობილი სლოგანი „ქართული ოცნებისთვის" მიუღებელია. ივანიშვილი თავს იწონებს იმით, რომ „ქართული ოცნება" ჰუმანური ხელისუფლებაა, მაგრამ ამ ჰუმანიზმის მიღმა ხშირად გაუმართლებელი ლოიალური დამოკიდებულება ვლინდება ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების მიმართ.

დათა ახალაია, სოსო თოფურიძე, ზურაბ ადეიშვილი, მეგის ქარდავა და სხვა წვრილი და მსხვი-




ლი მაღალჩინოსნები, რომლებიც დღეს გაქცეული არიან, ახალი ხელისუფლების მხრიდან აღარ იძებნებიან, მაგალითად, გავრცელდა ცნობა, რომ ზურაბ ადეიშვილი მშვიდად ცხოვრობს უნგრეთში და მეტიც, მაღალანაზღაურებად სამსახურშიც არის დაკავებული, მთავარი პროკურორიც საეჭვოდ დადუმდა, მისგან აღარ ისმის დაპირებები და ხმამაღალი განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოებისთვის განსაკუთრებულად საინტერესო საქმეები და გახმაურებული მკვლელობები გაიხსნება. ზოგიერთების მოსაზრებით, კბილაშვილი საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებას ელოდება და სკანდალური განცხადებებიც შემდგომ იქნება.

ივანიშვილი ვერ ჰპირდება ბიზნესმენებსა და რიგით მოქალაქეებს, რომ მათი ქონება, რომელიც ნაციონალების პარპაშის დროს ძალით დაათმობინეს, დაუბრუნდებათ. სულ ახლახან „ქართული ოცნების" ლიდერებმა განაცხადეს, რომ ამ ქონებებმა იმდენი პატრონი გამოიცვალეს მოკლე დროში, რომ რეალური მეპატრონისა და მფლობელის დადგენა განსაკუთრებით გართულებულია, ასე რომ, ეს დაპირებაც ჰაერში გამოეკიდა, ქონებაწართმეულ ადამიანებს კი ფაქტობრივად სახელმწიფომ უთხრა, რომ დიახ, სახელმწიფო რეკეტი არსებობს და ამას უნდა შეეგუონ, თუ ადრე მიშა სააკაშვილი თავისი თანამოაზრე ბოკერიებით, მერაბიშვილებითა და ადეიშვილებით საზოგადოებაში იმის ილუზიას ქნიდა, როგორ ებრძვის შევარდნაძეების ოჯახურ კლანს და ქურდული სამყაროს მხრიდან დამკვიდრებულ რეკეტს, ახლა ირკვევა, რომ ნაციონალების დროს დაფუძნებული და ლეგალიზებული სახელმწიფო რეკეტი სრულიად კანონიერ ფარგლებშია და ახალი ხელისუფლება უძლურია, ამას ებრძოლოს. სხვადასხვა წყაროთი ვიგებთ სამწუხარო ცნობებს (ამ წყაროების დასახელება ამ ადამიანებს საფრთხეს შეუქმნის და მათ ბიზნესსაც გაანადგურებს და ამიტომ არ გვინდა მათი გახმაურება), რომ მიდის იმ ბიზნესების „ახევა" (ეს ტერმინი ფართოდ დამკვიდრდა ჩვენს რეალობაში) ამჯერად არა მარტო ნაციონალებისთვის, არამედ იმ ბიზნესმენებისთვის, რომლებიც ადრე ბიზნესს ეწეოდნენ ნაციონალების კონტროლის ქვეშ, ახლა კი „ქართული ოცნების" მხარდამჭერების კონტროლის ქვეშ გადავიდნენ.

ივანიშვილმა, როცა მას რუსთავიდან ჩამოსულებმა ძიძიგურსა და საგანელიძეზე შესჩივლეს, ასეთი პასუხი გასცა, რა გინდათ მათგან, ესენი უწესიერესი ადამიანები არიანო. ივანიშვილი თავისი გუნდით კმაყოფილია და მეტიც, დარწმუნებულია, რომ ისინი როგორი პატიოსნებიც არჩევნებამდე იყვნენ, ისეთებად დარჩებიან ხელისუფლებაში ყოფნის დროს, მაგრამ ივანიშვილს ერთი რამ ავიწყდება, საზოგადოების თვალი, ცოტა ხნის წინ ძიძიგურის თანაპარტიელმა ბიძინა გუჯაბიძემ, რომელიც ჩვენს ზარებს აღარ პასუხობს და გვემალება, ჟურნალისტთან უცენზურო სიტყვების კორიანტელი დააყენა, ადიგენში ხეტყის უკონტროლო ჭრასთან დაკავშირებით როცა ჰკითხეს, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს თავი მართლაც ვიპ პერსონად მიაჩნია, რომელსაც თურმე ქვემდგომებმა ქოლგა უნდა დაუჭირონ, თვითონ ამას არ კადრულობს, რა გასაკვირია, როცა ასე განათლების ახალგაზრდა და ნორჩი მინისტრი თამარ სანიკიძეც იქცევა, ქვემდგომი მასაც უჩრდილავს სახეს ქოლგით, ის კი მედიდურად ზის უნივერსიტეტის ეზოში, საერთოდ სად წერია და როდიდან არის დაშვებული, რომ მინისტრმა გადადგომის შემდეგ აუცილებლად თავისი მოადგილე უნდა დატოვოს მინისტრად, არასამთავრობოებმა რატომღაც ეს გადაცდომა „ვერ შენიშნეს" და დადუმდნენ. ახლა კი ეს ქალბატონი რეფორმებს ისე ატარებს, რომ საზოგადოების საქმის ვითარებაში გარკვევას საჭიროდ არ თვლის.

ზაფხულში ივანიშვილის საზღვაო რეზიდენციაში შეკვეთილში „ქართული ოცნების" ლიდერები შეიკრიბნენ და იქ თავის გაზულუქებულ ლიდერებს ივანიშვილმა წითელი ბარათი უჩვენა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყვა. თვითნებობა გრძელდება და სახიფათო მასშტაბებს იძენს. ამას ისიც ემატება, რომ ხალხის რისხვისგან დამფრთხალმა ნაციონალებმა თავი ქუთაისს შეაფარეს და თბილისელებს დაემალნენ, სააკაშვილი კი ბოლო ხმაზე ყვირის, თბილისში პარლამენტის დაბრუნებით ქუთაისის ჩაკვლა უნდათო. თუ ქუთაისი გამოცოცხლდა პარლამენტის იქ გადატანით, მასზე უარს დღეში ზესტაფონი და ჭიათურაა, იქნებ ახლა იქით გადაგვეტანა პარლამენტი. თბილისიდან შორს გადახვეწილი პარლამენტარები თავს ისე კომფორტულად გრძნობენ, რომ ბოლო დროს არ საუბრობენ თბილისში დაბრუნებაზე, როგორც ჩანს, თბილისელებისგან უფრო დიდ პროტესტს გრძნობდნენ, ამის გამო კი წუხდნენ. ეს მხოლოდ ნაციონალებს არ ეხებათ, „ქართული ოცნების" ფრაქციაც არ აპირებს დედაქალაქში დაბრუნებას.

აქციების ეშინიათ, როგორც ჩანს და ვითარების დაძაბვას ერიდებიან, მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც მოუხდებათ ამომრჩევლებისთვის მთავარ კითხვაზე პასუხი, დაპირებებიდან რა შეასრულეთო, რომ ჰკითხავენ.

## შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ქობულეთში, 1957 წელს დაბადებული სულიკო ლ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბარში, დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, „მაკაროვი"-ს სისტემის მაყუჩიანი პისტოლეტი, 3 ხელნაკეთი პისტოლეტი, „ა-კა-ემ"-ის მოდელის ავტომატის 4 მჭიდი, „ერ-გე-დე"-ს ტიპის 1 ხელყუმბარა, „ეფ 1"-ის ტიპის 1 ხელყუმბარა, დენთის 234 ცალი ფეთქებადი ჩხირი და სხვადასხვა ცეცხლსასროლი იარაღის 199 ერთეული საბრძოლო ვაზნა ამოიღეს:.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე, სსსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

## მეთიუ ბრაიზას საქართველოში პოლიტიკური მოტივით დაკავებების არ სჯერა

,,საქართველოს მთავრობამ საკუთარი პოზიციები მმართველობის დასაწყისშივე დააზიანა" — ასე აფასებს ამერიკელი დიპლომატი მეთიუ ბრაიზა ახალი მთავრობის პოლიტიკას, 2012 წლის არჩევნებიდან დღემდე.

სახელმწიფო მდივნის ყოფილმა თანაშემწემ სამხრეთ კავკასიის საკითხებში მეთიუ ბრაიზამ, ყოფილი ჩინოვნიკების დაკავების ფაქტებზე, ქვეყნის წარსულსა და მომავალზე, ასევე ქვეყნის შიდა და საგარეო კურსზე, ამერიკის ხმის ვაშინგტონის ბიუროსთან ისაუბრა.

,,უკანასკნელ პერიოდში საქართველოს შიდა პოლიტიკაზე მნიშვნელოვან ყურადღებას ვეღარ ვამახვილებ, მაგრამ როგორც დამკვირვებელმა შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს მთავრობამ საკუთარი პოზიციები მმართველობის დასაწყისშივე დააზიანა, მაშინ როცა პოლიტიკურად მოტივირებული დაკავებების სერიის შთაბეჭდილება შექმნა.

ქართველ მეგობრებთან საუბრისას ხშირად მესმის, რომ ეს პოლიტიკურად მოტივირებული დაკავებები არ არის და იმ პოლიტიკოსებმა დანაშაული ნამდვილად ჩაიდინეს. ძალიან კარგი, მაშინ ჩაატარეთ გამოძიება. ვაშინგტონში ვიცით რაც ხდება. ხალხს ჰგონია, რომ საქართველოში ამ



პოლიტიკურად მოტივირებული დაკავებების გამო დემოკრატია არ ვითარდება, თუმცა მე აღნიშნულ დაკავებებში, პოლიტიკურ მოტივს გამოვრიცხავ" — განაცხადა მეთიუ ბრაიზამ.

პირველი

## „ქვეყნის გადარჩენას და სამართლიანობის აღდგენას მხოლოდ გამოცდილი პოლიტიკოსი შეძლებს"

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს" ლიდერი და საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ტყიბულისა და თერჯოლის რაიონებს ეწვია. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ის ბოლო წლების განმავლობაში მოსახლეობასთან შეხვედრას ვერ ახერხებდა, რადგან „ნაციონალური მოძრაობის" მხრიდან მუდმივი ტერორი და ზეწოლა იყო იმ ადამიანების მიმართ, ვინც ნინო ბურჯანაძესა და „დემოკრატიულ მოძრაობას" მხარს რაიმე ფორმით უჭერდა. ტყიბულიდან ნინო ბურჯანაძე თერჯოლაში გაემგზავრა, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

პრეზიდენტობის კანდიდატის თქმით, მისთვის თერჯოლაში ყოფნა განსაკუთრებით ემოციურია, რადგან მისი ბავშვობის წლები გარკვეულწილად თერჯოლის რაიონს უკავშირდება.

„მე ძალიან მიხარია, რომ ასეთი თბილი მიღება მოგვიწყვეს. როდესაც მამა აქ მუშაობდა, ძალიან ბევრს აკეთებდა ქართული კულტურისთვის, ქართული საზოგადოების გაძლიერებისათვის და ადგილობრივმა მოსახლეობამ ერთხმად აღნიშნა, რომ იმ პერიოდში თერჯოლაში კულტურა ყვაოდა და ძალიან ბევრი რამ კეთდებოდა. მე განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მაქვს ამ ადამიანების მიმართ. ეს ადამიანები რეალობას ძალიან კარგად ხედავენ. ძალიან კარგად ხედავენ, თუ ვის შეუძლია მათი პრობლემების მოგვარება. ძალიან ნათლად ხედავენ იმას, რა სჭირდება ქვეყანას იმისათვის, რომ ამ კრიზისიდან და ჩაკეტილი წრიდან გამოვიდეთ. ადამიანებს სჭირდებათ სამართლიანობა და თითოეული მათგანი ამბობს, რომ მათ უნდათ მხოლოდ სამართლიანი გარემო და შესაძლებლობა, რომ იშრომონ და ასეთ შემთხვევაში ისინი არ იქნებიან დამოკიდებული სახელმწიფოზე. ამიტომ ქვეყანამ უნდა წარმართოს სწორი საგარეო და საშინაო პოლიტიკა, რომ ადამიანებს სტაბილურობისა და სამართლიანობის განცდა ჰქონდეთ, ჰქონდეთ სამუშაო და შეძლონ თავიანთი შრომით საკუთარი ოჯახების რჩენა, ამას კი მხოლოდ გამოცდილი და გამბედავი პოლიტიკოსი შეძლებს" — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ნიუსპრესი

## ირაკლი ღარიბაშვილმა ყატარის შსს-ს დელეგაცია მიიღო



შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ ყატარის შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაცია მიიღო. შეხვედრაზე საუბარი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებულ და დაგეგმილ რეფორმებსა და ურთიერთთანამშრომლობის საკითხებს შეეხო.

ვიზიტის მიზანს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის გამოცდილების გაზიარება და სამართალდამცავ სფეროში განათლებისა და ტრენინგების კუთხით არსებული მდგომარეობის გაცნობა წარმოადგენს. ყატარის დელეგაციამ ასევე, საპატრულო პოლიციის საქმიანობისა და პატრულირების ორგანიზების შესახებ ინფორმაციის მიღების სურვილიც გამოთქვა.

გარდა ამისა, ყატარის მხარის ინტერესის სფეროს წარმოადგენს გამოცდილების გაზიარება ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიზიტის ფარგლებში იგეგმება ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და შსს-ს აკადემიის წარმომადგენლებთან შეხვედრა.ყატარის სახელმწიფოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი 21 სექტემბერს დასრულდება.

მედიანიუსი

## ქრთამის აღების ფაქტზე წალკის გამგეობის თანამშრომლები დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად დიდი ოდენობით ქრთამის მოთხოვნისა და აღების ფაქტზე, წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი, 1970 წელს დაბადებული ვახტანგ კობახიძე და ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთ-ერთი კომისიის თავმჯდომარე, 1953 წელს დაბადებული აკაკი დანელია ამხილეს.

ამჟამად ორივე მათგანი დაკავებულია. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები თანამდებობრივი უფლებამოსილების და საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ უკანონო გარიგებაში შედიოდნენ პირებთან, რომლებსაც სამეწარმეო საქმიანობისათვის წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიით სარგებლობა სურდათ. დადგინდა ისიც, რომ მათ დაინტერესებულ პირს აღუთქვეს, რომ ყოველგვარი ნებართვისა და საიჯარო ხელშეკრულების გარეშე, წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს სარგებლობაში გადასცემდნენ, სადაც ის, ავტომანქანების მოძრავი გაზგასამართი სპეციალური ავტომანქანის დაყენებას და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას შეძლებდა. ასევე, თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით, მას სამსახურებრივ მფარველობას დაპირდნენ, რისთვისაც ქრთამის სახით მოითხოვეს და აიღეს 11 000 ლარი.

მედიანიუსი

## „ქურდული სამყარო"-ს წევრობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მე-2 მთავარი სამმართველოს 1-ლი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ე.წ. „ქურდული სამყარო"-ს წევრობის ბრალდებით, თბილისში, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი, 1990 წელს დაბადებული ბექა თ. დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული ე.წ. „ქურდულ სამყარო"-ს აღიარებს და მისი აქტიური წევრია. მას ურთიერთობა ჰქონდა პატიმრობაში და საზღვარგარეთ მყოფ ე.წ. „ქურდული სამყარო"-ს წევრებთან. გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე, სსსკ-ის 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს, რაც 5-დან 8 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

მედიანიუსი

## ვიქტორ იუშენკო მიხეილ სააკაშვილს ესტუმრა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინის ყოფილ პრეზიდენტს ვიქტორ იუშენკოს მასპინძლობს. უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუციის ავტორი და ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილთან ერთად გუშინწინ კახეთში იმყოფებოდა. ინფორმაციას იუშენკოს ვიზიტის შესახებ პრეზიდენტის ადმინისტრაციაშიც ადასტურებენ, თუმცა მის დეტალებზე ჯერჯერობით არ საუბრობენ.

როგორც ,,ნიუსპრესს" პრეზიდენტის პრესსამსახურის თანამშრომელმა ნათია ბანძელაძემ განუცხადა, ვიქტორ იუშენკოს ვიზიტის შესახებ ინფორმაციას ისინი დღეს ოფიციალურად გაავრცელებენ.

ნიუსპრესი

## ნინო ბურჯანაძე აშშ-ს ელჩს რიჩარდ ნორლანდს შეხვდა

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს" ლიდერი და პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში რიჩარდ ნორლანდს შეხვდა. პარტიის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე, საუბრის ძირითად თემას წინასაარჩევნო გარემო წარმოადგენდა.

ნინო ბურჯანაძემ ხაზი გაუსვა, რომ მიუხედავად მნიშვნელოვანი წინსვლისა წინასარჩევნო გარემოს თავისუფლებასთან მიმართებაში, ძირითად კონკურენტებთან შედარებით, ის არათანაბარ და უსამართლო პირობებში იმყოფება, რადგან კონკურენტებისგან განსხვავებით არ ღებულობს საბიუჯეტო დაფინანსებას, საარჩევნო კომისიები მხოლოდ ორი პარტიის წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული და ასევე კონკურენტებისგან განსხვავებით, არ აქვს უფასო სარეკლამო სატელევიზიო დრო.

რიჩარდ ნორლანდის განცხადებით კი, აშშ მთავრობა მაქსიმალურად დაინტერესებულია, რომ არჩევნები საქართველოში სამართლიან და თავისუფალ გარემოში ჩატარდეს. პრესსამსახურის ცნობითვე, შეხვედრისას საუბარი საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებსაც შეეხო.

**ნიუსპრესი**

## რატომ წავიდა კბილაშვილი მოსკოვში



საპარლამენტო უმცირესობის წევრი გივი თარგამაძე საქართველოს მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის მოსკოვში ვიზიტს საგანგაშო მოვლენას უწოდებს. თარგამაძის თქმით, ადამიანი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე საზოგადოებას ხან გადამდგარი, ხან შვებულებაში მყოფი ეგონა, საბოლოო ჯამში, რუსეთის დედაქალაქში აღმოჩნდა.

— ეს საგანგაშო მოვლენაა გამომდინარე იქიდან, რომ ოთხი დღის მანძილზე გასაგებია, რომ მან მიიღო ინსტრუქციები თავისთვისაც და ალბათ იმ საქმეების წარმოებისთვისაც, რომელიც კრემლს დღეს ყველაზე მეტად აინტერესებს. ეჭვი მაქვს, რომ მან ჩამოუტანა ინსტუქციები მთელ მთავრობას, — განაცხადა თარგამაძემ.

გავცელებული ინფორმაციით, საქართველოს მთავრი პროკურორი არჩილ კბილაშვილი მოსკოვში ოთხდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა. არჩილ კბილაშვილი ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობდა, რომელსაც 100-ზე მეტი ქვეყნის მთავარი პროკურორი ესწრებოდა.

**მედიანიუსი**

## არც ერთ საჯარო სკოლაში ნაღმის არსებობა არ დადასტურდა

თბილისის 21-ე, 53-ე და 24-ე საჯარო სკოლებში, ასაფეთქებელი ნივთიერების არსებობის შესახებ ინფორმაცია არ დადასტურდა. როგორც ,,ნიუსპრესს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, გამნაღმველებმა სამივე სკოლის შენობაში მუშაობა უკვე დაასრულეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სკოლების ევაკუაცია დღეს დილით, 112-ში შესული ანონიმური ზარის საფუძველზე მოახდინეს, რომელიც სკოლებში ბომბის არსებობას იუწყებოდა. ადგილზე შინაგან საქმეთა სამინისტროს გამნაღმველები და კინოლოგიური სამსახურის თანამშრომლები რამდენიმე საათის განმავლობაში მუშაობდნენ, თუმცა ბომბის არსებობა არც ერთ სკოლაში არ დადასტურდა.

**ნიუსპრესი**

# გიორგი კვირიკაშვილი: „საქართველოს ეკონომიკა იზრდება“

*ნათია ხურცილავა*

**გუშინ ბიზნესის განვითარების საერთაშორისო ფორუმი ჩატარდა. ფორუმი ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გახსნა. კვირიკაშვილმა მოგვიანებით ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა. ეკონომიკის მინისტრმა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებსა და ტემპებზე ისაუბრა.**

— მე არ ვთვლი, რომ 3%-იანი ეკონომიკური ზრდა ძალიან კარგი მაჩვენებელია. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, თუ დაგეგმილი 6% შესრულდებოდა, თუმცა, სამწუხაროდ, ბევრი ფაქტორის გამო ეს ვერ მოხერხდა. ამ ყველაფრის ფონზე ჩვენ რეალური ზრდა გვაქვს, რაც შეწონილ, ნომინალურ და ინფლაციის მაჩვენებლებს გულისხმობს. ეკონომიკა იზრდება და არ მცირდება, როგორც ამას ჩვენი ოპონენტები ამბობენ. დადასტურებული მონაცემებით, ჩვენ პირველი ორი კვარტალის შედეგებით 1,9% ეკონომიკური ზრდა გვაქვს და ამ მაჩვენებლის განსაკუთრებულ ზრდას წლის ბოლო კვარტალში ველოდებით, — განაცხადა კვირიკაშვილმა.

— საქართველოს ეკონომიკა იზრდება და წლის ბოლოს 2,5-3%-მდე ზრდაა მოსალოდნელი. რა თქმა უნდა, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში გაცილებით მაღალი პროგნოზირებადობა იქნება და ამას ძალიან ბევრი ბიზნესი ელოდება, თუმცა ის, რომ ჩვენ გვაქვს რეალური ზრდა, ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოს ეკონომიკა იზრდება და არა მცირდება, როგორც ამას ჩვენი ოპონენტები ამბობენ. დღევანდელი ვითარებით, დადასტურებული მონაცემებით, ორი კვარტალის შედეგების მიხედვით ფიქსირდება 1,09 %-იანი ზრდა. ჩვენ ზრდას ველოდებით ბოლო კვარტალშიც, აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ წლის ბოლოსთვის 2,5-3%-მდე ზრდაა მოსალოდნელი. არ ვამბობ, რომ ეს ძალიან კარგი მაჩვენებელია, ჯობდა, 6%-იანი მოლოდინი შესრულებულიყო, თუმცა ეს მაინც მნიშვნელოვანია, — განუცხადა კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს.

კვირიკაშვილის განცხადებით, მომავალი წელს ეკონომიკა კიდევ უფრო გაიზრდება.

— ძალიან მკვეთრი პრიორიტეტები უნდა ავირჩიოთ და მიზანმიმართული კამპანია ჩავატაროთ, რაც, სამწუხაროდ, წინა წლებში არ კეთდებოდა. ჩვენ კონკრეტულ პრიორიტეტებზე უნდა დავხარჯოთ მთელი ძალისხმევა, — აღნიშნა მინისტრმა.

მისივე თქმით, ბოლოს 2,5%-დან 3%-მდე ეკონომიკური ზრდის მიღწევაა შესაძლებელი და ამის რეალური საფუძველი არსებობს.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, გარკვეული კომპანიები ქვეყანაში პოლიტიკურ სტაბილიზაციას ელოდებიან.

გიორგი კვირიკაშვილმა „ბათუმი თაუერის“ მშენებლობის ირგვლივ განვითრებულ მოვლენებზე ისაუბრა. მისი განცხადებით, მშენებლობისას დაახლოებით 5 მილიონი დავალიანება დაგროვდა.

კვირიკაშვილის თქმით, მთავრობა ძალიან აქტიურად მუშაობს, რომ ამ შენობას კომერციული დატვირთვა მოუნახოს.

— ეს შენობა დასამთავრებელია. ვცდილობთ, მოვნახოთ კომერციული ინტერესი ამ შენობის ან იჯარით გაცემისთვის, ან პრივატიზებისთვის. ამ შენობის შესრულებულ სამუშაოებზე დაგროვილი იყო დავალიანება, დაახლოებით 5 მილიონი ლარი და ჩვენ ვმუშაობთ, რომ ჩავატაროთ დეტალური ექსპერტიზა და ამის შემდეგ გავისტუმროთ ყველა ის დავალიანება, რომელიც დაგროვილია. შენობა უნდა დასრულდეს, თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ დამთავრების რამდენიმე გზა არსებობს, ამიტომ ჩვენ კომერციული ინტერესის მოძიებას ვცდილობთ. ამ მიმართულებით აჭარის ხელისუფლება აქტიურად მუშაობს, — განაცხადა კვირიკაშვილმა.




წინა ხელისუფლების დროს, „ბათუმის თაუერის“ შენობაში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის განთავსება იყო დაგეგმილი, თუმცა ახალმა მთავრობამ ამაზე უარი განაცხადა.

რაც შეეხება ბიზნესის განვითარების საერთაშორისო ფორუმს, მისი მიზანი საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი საკითხების მიმოხილვა, საინვესტიციო გარემოსა და კაპიტალის მოზიდვის საკითხები და ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელი ინსტრუმენტების განხილვაა.

საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორმა გიორგი პერტაიამ ბიზნესის განვითარების პირველ საერთაშორისო ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ 2014 წლის მეორე ნახევარში ბიზნეს ბუმს ელოდებიან.

— მიმდინარეობს მოლაპარაკებები უცხოელ ინვესტორებთან. მოგეხსენებათ, რომ მიმდინარე წლის მეორე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წინა წელთან და კვარტალებთან შედარებით გაიზარდა. იმ აქტივობების შედეგები, რომლებსაც ახლა ვაწარმოებთ, შემდეგ წელს იქნება. ვფიქრობთ, რომ თუ პოლიტიკოსებიც ხელს შეგვიწყობენ და სტაბილური გარემო იქნება, შედეგიც გვექნება. 2014 წელს ჩვენ დიდი ინვესტიციებს ველოდებით, ბუმი განსაკუთრებით წლის მეორე ნახევარში იქნება, — განაცხადა პერტაიამ.

მან ასევე საინვესტიციო გარემოსთვის ლიბერალური შრომის კოდექსის მნიშვნელობაზეც ისაუბრა.

— შრომის კოდექსი ლიბერალურია. მისი კიდევ უფრო გამკაცრება ბიზნესზე ცუდად იმოქმედებს. ჩვენ არ უნდა დავკარგოთ ის მიზიდულობა, რაც ქვეყანას გააჩნია, მაგალითად, ესპანეთის მსგავსი რეგულაციების დაწესების ფუფუნება ჩვენ არ გვაქვს, — აღნიშნა პერტაიამ.

საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის აღმასრულებელმა პრეზიდენტმა კახა კოხრეიძემ ბიზნესის განვითარების პირველი საერთაშორისო ფორუმის მიმდინარეობისას ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ბიზნეს სფეროში ლოდინი ცუდია.

— მე ვფიქრობ, საქართველოში მოლოდინის რეჟიმი არ არის განსაკუთრებით მცირე საშუალო და რიგი მსხვილი ბიზნესმენების მხრიდან. არიან კომპანიები, რომლებიც ამ რეჟიმში რჩებიან და ისინი, ალბათ, ვერ აცნობიერებენ, რომ ლოდინი საზიანოა და ჩემი აზრით, თუ ეს ასე გაგრძელდება, მათ დიდხანს მოუწევთ ლოდინი, — განაცხადა კოხრეიძემ.

# ზურაბ აბაშიძე: „ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ყველაფერს გავაკეთებთ“

*ნათია ხურცილავა*

**ზურაბ აბაშიძემ, რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის სპეციალურმა წარმომადგენელმა, სერგეი ლავროვის მოადგილე გრიგორი კარასინთან მორიგი შეხვედრა პრაღაში გამართა.**

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან გრიგორი კარასინთან პრაღაში გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ აბაშიძემ აღნიშნა, რომ მან საქართველოს ხელისუფლების პოზიცია და შეშფოთება დააფიქსირა კარასინთან.

— გამოვხატე საქართველოს მთავრობის სახელით ღრმა შეშფოთება ბოლო ხანს ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, რაც წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევას და, ზოგადად, ჰუმანიტარული ნორმების უხეშ დარღვევას. ყოველი ჩემი შეხვედრის წინ ბატონ კარასინთან, ორი ან ერთი დღით ადრე აუცილებლად ხდება რალაც ანალოგიური ინციდენტები, რაც ძალიან ბევრ კითხვას ბადებს, — განაცხადა აბაშიძემ.

როგორც უკვე ალვნიშნეთ, პრაღაში აბაშიძე-კარასინის შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი საკითხი დიცში მიმდინარე პროცესები იყო. სამთვიანი პაუზის შემდეგ ქართულ-რუსული მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი პრაღაში უკვე დასრულდა, თუმცა, რა შედეგები მოჰყვება, ჯერ უცნობია. ამას დრო გვიჩვენებს.



ზურაბ აბაშიძე აცხადებს, რომ უსაფრთხოების საკითხების განხილვას ფორმატი არ ითვალისწინებს, მაგრამ, მისი განცხადებით, ყოველი შეხვედრის წინ მსგავს ინციდენტებს აქვს ადგილი და იძულებულია, ინციდენტებზე ისაუბრონ. ამჯერადაც ზურაბ აბაშიძემ საოკუპაციო ზოლთან არსებულ ვითარებაზე ლავროვის მოადგილესთან, რომელიც ამავე დროს ჟენევის მოლაპარაკების მონაწილეც არის ისაუბრა.

— საქართველოს მთავრობა გააკეთებს ყველაფერს, ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად და საქართველოს სახელმწიფო ინტერესების დასაცავად, — აცხადებს პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი.

მსგავსი ინციდენტების ფონზე აქვს თუ არა აღნიშნულ ფორმატს დატვირთვა?

ზურაბ აბაშიძე მზადაა, კონფლიქტის ზონაში არსებული დაძაბული ვითარების მიუხედავად, კარასინთან შეხვედრები განაგრძოს და ფიქრობს, რომ ამ ფორმატს რესურსი გააჩნია.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ამბობს, რომ ქვეყნის ოკუპაცია გრძელდება და ეს არა ერთდღიანი აქცია, არამედ პროცესია.

კარასინი-აბაშიძის მორიგი შეხვედრა, სავარაუდოდ, სამი თვის შემდეგ კვლავ პრაღაში გაიმართება.

კვლავ პრაღაში რომ გაიმართება მორიგი შეხვედრა, ამის შესახებ ინფორმაციას გრიგორი კარასინი ავრცელებს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელ ზურაბ აბაშიძესთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ მას ეჭვი ეპარება, რომ სპეციალურად იძაბება სიტუაცია შეხვედრის წინ.

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ გამიზნულად ძაბავენ ვითარებას საზღვრებზე, თუმცა ეს ყველაფერი იმ გადაწყვეტილებების შედეგია, რომელიც 2008 წლის აგვისტოში მიხეილ სააკაშვილმა მიიღო. აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი საზღვრების გარეშე ვეღარ იცხოვრებენ. ქართულ მედიაში ხშირად ამბობენ, რომ ხალხს იტაცებენ და გამოსასყიდს ითხოვენ, მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ არანაირი გატაცებები არ ხდება. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის დაკავებულებს მხოლოდ ადმინისტრაციულ ჯარიმას ახდევინებენ. საზღვრები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს დადგინდა. დღეს რომ ეს საზღვრები სახელმწიფოს გახდა, იმ აგრესიის ბრალია, რომელიც ბატონმა სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოში განახორციელა. სამხრეთი ოსეთის ტერიტორიაზე ზოლს ძალიან მცირე მონაკვეთებზე ავლებენ, რომ ხალხმა დაინახოს, სად გადის საზღვარი. უკონტროლო მიმოსვლა სტაბილურობამდე ვერ მიგვიყვანს. ჩვენი მესაზღვრეები იმ უფლებამოსილებით მოქმედებენ, რომელიც სამხრეთი ოსეთის ხელისუფლებამ მიანიჭა. ამ საკითხებზე სამხრეთი ოსეთის ხელისუფლებასთან ქართულმა მხარემ პირდაპირ უნდა ილაპარაკოს. ამისთვის არსებობს მნიშვნელოვანი ფორმატი — ჟენევის დისკუსიები. რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობებს, რუსეთიც დგამს საქართველოსთვის შემხვედრ ნაბიჯებს. ეს ეხება ვაჭრობას, ჰუმანიტარულ კავშირებს, ავიაციას, ტრანსპორტს, — განაცხადა კარასინმა.

გრიგორი კარასინმა ზურაბ აბშიძესთან გამართულ შეხვედრაზეც ისაუბრა. მისი განცხადებით, საოკუპაციო ხაზზე არსებულ ვითარებაზეც იყო საუბარი.

— თავიდანვე ვთქვით, რომ არ ვილაპარაკებდით იმ საკითხებზე, რომელიც ჩვენთვის წითელ ხაზს წარმოადგენს, მაგრამ დღეს წამოიჭრა საზღვრების თემა და მოსაზრებებიც გავცვალეთ, — აღნიშნა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრეგორი კარასინი სოფელ დიცში, საოკუპაციო საზღვართან სადემარკაციო სამუშაოებს შემაშფოთებლად არ მიიჩნევს და აცხადებს, რომ საზღვართან გამიზნულად ძაბავენ ვითარებას. კარასინსა და საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში სპეციალურ წარმომადგენელს ზურაბ აბაშიძეს შორის შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ საოკუპაციო ზოლთან არსებული ვითარების დეტალური განხილვა ნოემბრის დასაწყისში ჟენევის კონსულტაციების მორიგ შეხვედრაზე უნდა მოხდეს.

სადემარკაციო სამუშაოები სოფელ დიცთან, უკვე ორი დღეა აღარ მიმდინარეობს. როგორც დიცში მცხოვრები მოქალაქეები ქართველ ჟურნალისტებთან აცხადებენ, რუსი მესაზღვრეები მას შემდეგ აღარ გამოჩენილა, რაც უკვე ჩარჭობილი ბოძები, სავარაუდოდ, რუსეთიდან ჩამოსული დელეგაციის ბრძანებით, ამოიღეს.

სადემარკაციო სამუშაოები რუსმა მესაზღვრეებმა სამთვიანი პაუზის შემდეგ, 17 სექტემბერს გააგრძელეს. სამუშაოები მხოლოდ ორ დღეს გაგრძელდა.

# ვინ დგას ცრუ შეტყობინებების უკან

მერი ნამორაძე

ცრუ შეტყობინებების სერია ამა თუ იმ დაწესებულებაში ნაღმის არსებობის შესახებ გრძელდება. როგორც ჩანს, მო-




ზარდთათვის ამ ყველაფერმა გართობის სახე მიიღო. ვიდრე პარლამენტი საბოლოოდ გადაწყვეტს, სოლიდური ჯარიმები დააკისროს ონავარი არასრულწლოვნების მშობლებს შვილების ცრუ შეტყობინებებისთვის, შეიძლება, კიდევ არაერთ დაწესებულებას შეეშალოს ხელი მუშაობაში. გუშინ სასწავლო პროცესი თბილისის 21-ე, 24-ე და 53-ე საჯარო სკოლებში ჩაიშალა, რადგან შეტყობინება ნაღმის არსებობის შესახებ შევიდა. შეტყობინება, რა თქმა უნდა, არ დადასტურდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამივე სკოლაში ცრუ შეტყობინების ავტორი ერთი და იგივე პიროვნებაა და არასრულწლოვანია. სკოლებში ცრუ შეტყობინების შესახებ ინფორმაცია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში „112"-ში დაახლოებით 10:10 წუთზე შევიდა. რის შემდეგაც სამივე სკოლაში ევაკუაცია გამოცხადდა.

როგორც ფსიქოლოგმა მაია ცირამუამ „ახალ თაობასთან" საუბრისას აღნიშნა, ამ საკითხს სერიოზული გამოძიება სჭირდება, რადგან თუ ამ ეგრეთ წოდებულ თამაშში ჩართულნი არიან სრულწლოვნები ( და იყო ინფორმაცია, რომ სრულწლოვნებიც დააკავეს ამ ფაქტთან დაკავშირებით), მათ მიერ ხდება არასრულწლოვანთა კრიმინალში ჩაბმა:

— მე მაქვს განცდა, რომ ამის ინიციატორი შეიძლება სრულებითაც არ ყოფილიყო მოზარდი და ვიღაც აუცილებლად დგას ამ „თამაშის" უკან. ამ შემთხვევაში ძალიან სერიოზულ ბავშვთა უფლებების დარღვევასთან გვაქვს საქმე, რომ არაფერი ვთქვათ კრიმინალზე, რადგან ხდება ასეთ ქმედებებში მოზარდების ჩართვა, — აღნიშნა ცირამუამ.

თუმცა, ფსიქოლოგი არც მოზარდთათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიიდან გამომდინარე გამორიცხავს ცრუ შეტყობინებებით გატაცებას:

— ამან მიიღო ტენდენციის სახე, რომ ასეთი ზარის უკან დგას მოზარდი. მგონია, რომ მოზარდებმა „კარგად" აიტაცეს ეს ინიციატივა, რაც აბსოლუტურად გასაგებია მოზარდების ფსიქოლოგიიდან გამომდინარე. მიმბაძველობა ერთი ფაქტორია, რომელმაც შეიძლება ასეთ ქმედებებს ხელი შეუწყოს. მეორე ის, რომ მათ ეძლევათ შესაძლებლობა, უფროსები საკუთარ „ძალაუფლებას" დაუქვემდებარონ. მათ შექმნეს თამაში, რომლითაც შეუძლიათ, გააჩერონ ტელევიზიები, სასწავლო პროცესი სკოლაში, გააჩერონ პარლამენტის სხდომების მიმდინარეობა და ასე შემდეგ ანუ თამაშით ბავშვები თითქოს იღებენ კონტროლს უფროსებზე და შეიძლება ეს იყოს მათი მხრიდან პროტესტიც, დასჯაც და ასე შემდეგ. ამიტომ, როცა მედია ასეთ თემებს აშუქებს, ძალიან ფრთხილად უნდა იყოს. რა იკვეთება, იცით? რაც უფრო ხშირდება ინფორმაცია, რომ იყო ცრუ განგაში რომელიღაცა დაწესებულებაში და ამის უკან იდგა მოზარდი, მით უფრო იმატებს ცრუ განგაშების რიცხვი. ეს კარგად ჯდება მოზარდების ფსიქოლოგიაში. ეს ყველაფერი მახსენებს იმ შემთხვევას, როცა ორიოდე წლის წინ მოზარდები ირუჯებოდნენ ლეღვის ნახარშით. რომ ვაკვირდებოდი, რაც უფრო ხშირად იყო სიუჟეტები, მით უფრო იმატებდა მოზარდთა რიცხვი, რომლებიც ასეთი გზით ირუჯებოდნენ. ამიტომ ამ თემას დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს მედია, რომ ვირუსივით არ გავრცელდეს. მოზარდმა იცის, რომ ამის გამო ვერ დაისჯება, განსაკუთრებით, თუ ის არის 12 წლამდე ასაკის. ამიტომ სრული ინტერესით ეძლევა ასეთი ტიპის „თამაშს". ფაქტია, რაც უფრო ხშირია ინფორმაცია, რომ მოზარდი დგას ამ ყველაფრის უკან, მით უფრო მეტად ერთვებიან ისინი ამ „თამაშში", — აღნიშნა ცირამუამ.

# თეა წულუკიანი: „ყველა მოსამართლეს ეშინია სასამართლოს თავმჯდომარის"

„იუსტიციის მინისტრი პოლიტიკური ჩარევისაგან თავისუფლების პირობას იძლევა", -ამ სათაურით აქვეყნებს ინტერვიუს სააგენტო „ ეწ   უროპე" თეა წულუკიანთან.

„საქართველოს შემოაქვს ღრმა დემოკრატია საკუთარ ინსტიტუტებში, - ამბობს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, რომელმაც მანამდე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში უფროს იურისტად 10 წელი იმსახურა", - აცხადებს ენდი კარლინგი თავის სტატიაში, რომელიც სააგენტოს ვებ-გვერდზე დღეს გამოქვეყნდა.

„ჩემი ხელისუფლება დატოვებს ისეთ ევროპულ დემოკრატიულ მემკვიდრეობას, რომლის შეცვლაც შეუძლებელი იქნება. ეს იქნება სისტემა, რომლის შენარჩუნებაც ნებისმიერ მომავალ პოლიტიკოსსა და მინისტრს მოუწევს", - ამბობს სააგენტოსთან საუბარში თეა წულუკიანი.

ჟურნალისტის ინფორმაციით, საქართველოს იუსტიციის მინისტრი ბრიუსელს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირების წინ ეწვია.

გამოცემასთან საუბრისას თეა წულუკიანმა განაცხადა: „ჩვენ არ გვინდოდა, გაგვეკეთებინა იგივე, რასაც წინა ხელისუფლება აკეთებდა, რომელმაც გაათავისუფლა მოსამართლეები „ვარდების რევოლუციის" შემდეგ". მინისტრის ინფორმაციით, იუსტიციის სამინისტრო მართლმსაჯულების რეფორმაზე მუშაობს, რათა სასამართლო გათავისუფლდეს პოლიტიკური ჩარევისაგან. „ჩვენ გადავწყვიტეთ, ეტაპობრივად განვახორციელოთ რეფორმა. პირველი ეტაპი სწორედ ახლა დასრულდა. ის შეეხებოდა მოსამარ-



თლეების პროკურორების ზეგავლენისა და სხვადასხვა გარეძალის ბერკეტებისგან გათავისუფლებას. ჩვენ, ასევე, გავათავისუფლეთ იუსტიციის უმაღლესი საბჭო პოლიტიკოსებისგან. პოლიტიკოსები ისხდნენ იქ და წყვეტდნენ სამართლებრივ საკითხებს, რაც არასწორია", - აცხადებს თეა წულუკიანი.

მინისტრი იქვე დასძენს, რომ პროკურორებმა უკეთესად უნდა ისწავლონ მტკიცებულებების გამოყენება, ვიდრე მოსამართლეების კარნახი, მოსამართლეებმა კი უნდა გააანალიზონ, რომ ისინი სრულიად თავისუფალნი არიან.

სტატიაში ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ დღეს საქართველოში მართლმსაჯულების რეფორმის შემდეგი ეტაპი უკვე გამოცხადდა. მეორე ეტაპზე სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება შეიზღუდება. „ყველა მოსამართლეს ეშინია სასამართლოს თავმჯდომარის. ჩვენ გვინდა, თავმჯდომარე გავხადოთ მიუკერძოებელი; გვინდა, გავაძლიეროთ მოსამართლეები. მათ შეეძლებათ, თავად აირჩიონ სასამართლოს თავმჯდომარეები", - აცხადებს მინისტრი.

თეა წულუკიანის განცხადებით, მთავრობის მთავარი მიზანია საქართველოში ინსტიტუციური დემოკრატიის შექმნა. „ჩვენ გვინდა, გვქონდეს რაღაც, რაც დემოკრატიული გზით იმუშავებს. ამ დრომდე გვყავდა ძლიერი პერსონალიები, როგორც ლიდერები, მაგრამ როგორც კი ისინი წავიდნენ, დარჩა სიბინძურე. ჩვენ არ გვჭირდება პერსონები, ჩვენ გვჭირდება ინსტიტუტები", - ამბობს თეა წულუკიანი.

ენდი კარლინგი აღნიშნავს, რომ მინისტრს აქვს კარგი გამოცდილება დასახული ამოცანის შესასრულებლად.

„მისი საუბრის რბილი მანერა გამყარებულია არგუმენტებითა და მოვალეობის ძლიერი გრძნობით. ქართულ მღელვარე პოლიტიკურ სივრცეში მისი მოსვლის მთავარი მოტივაცია იყო ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში მისი მუშაობა", - ამბობს კარლინგი და იქვე მოჰყავს თეა წულუკიანის ციტატა, სადაც მინისტრი სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოდან მისი წამოსვლის მიზეზს განმარტავს.

„სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის განმავლობაში ვმუშაობდი, ვმუშაობდი ქართულ საქმეებზე. ამ საქმეებმა დამანახვა, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით საქართველოში მძიმე ვითარება იყო. მიუხედავად იმისა, რომ მე ვიყავი მუდმივი მოსამსახურე, დავტოვე თანამდებობა და დავბრუნდი საქართველოში, რათა პოლიტიკაში მოვსულიყავი. ეს იყო 2010 წელი, დიდი ხნით ადრე, ვიდრე ბიძინა ივანიშვილი მოვიდოდა პოლიტიკაში, და შევუერთდი „დამოუკიდებელ დემოკრატებს". ეს უიმედო პერიოდი გახლდათ, რადგან „ნაციონალური მოძრაობა" იყო ყველგან. მცირე ოპოზიციურ პარტიებს არ ჰქონდათ საშუალება, ებრძოლათ ეფექტიანად. ჩვენ მოკლებულნი ვიყავით ფინანსებს და არ გვქონდა იმის საშუალებაც კი, რომ საკუთარი ოფისების ფული გადაგვეხადა. შემდეგ ბიძინა ივანიშვილი მოვიდა და შექმნა კოალიცია. ვიმედოვნებ, რომ ჩვენ ერთად ვიქნებით არჩევნებზე", - ამბობს თეა წულუკიანი.

აქვე იუსტიციის მინისტრი პრემიერ-მინისტრის პოლიტიკიდან წასვლის შესახებაც საუბრობს. მისი თქმით, პრემიერმა თავიდანვე განაცხადა, რომ პოლიტიკაში ერთი-ორი წლით დარჩება, და რომ მას მაშინ არავინ დაუჯერა. „ახლა ის იცინის ჩვენზე, ამბობს - თქვენ მე არ დამიჯერეთ, მაგრამ მე მივდივარ!" - აღნიშნავს წულუკიანი.

სტატიის ავტორის შეფასებით, ბიზნესმენთან ერთად, რომელიც პოლიტიკოსი გახდა, საქართველო ევროპის მხარეს იყურება.

„ჩვენ, ასევე, შეგვიძლია, ევროპას მოვუტანოთ სხვა ქვეყნების ღიაობა, შევასრულოთ ხიდის როლი. ჩვენ, რა თქმა უნდა, ნამდვილად ევროპული ერი ვართ. როცა ვსაუბრობთ ევროპულ მომავალზე, ვსაუბრობთ ხალხზე, რომელმაც თავად აირჩია ევროპა და არა პოლიტიკოსებზე", - აცხადებს თეა წულუკიანი.

**ნიუსპრესი**

# საქართველოში უთანასწოროობისა და სიღარიბის მაჩვენებლები მაღალია

მერი ნამორაძე

**ვიდრე საქართველოში ბავშვები უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობენ და დღეში მხოლოდ 2 ლარს მოიხმარენ, საკუთარი შესაძლებლობების სრულად განვითარებას ნაკლებად შეძლებენ. ბავშვები საქართველოში სიღარიბის უფრო მეტი რისკის ქვეშ არიან სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით. ბავშვიანი ოჯახები კი უფრო ღარიბები არიან, ვიდრე სხვები და უფრო ნაკლებად სარგებლობენ სოციალური დახმარებით. გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში 0-16 წლის 77 000 ბავშვი ცხოვრობს უკიდურეს სიღარიბეში ანუ მოიხმარს დღეში დაახლოებით, ორ ლარს, ხოლო 200 000-ზე მეტი ბავშვი მოიხმარს დღეში მხოლოდ 3 ლარს.**

იუნისეფმა არაერთხელ შესთავაზა საქართველოს ხელისუფლებას, გადაეხედა მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამები. ამ ინიციატივამ თანამოაზრეები დღევანდელ ხელისუფლებაში უფრო იპოვა, ვიდრე წარსულში.

როგორც გაეროს ბავშვთა ფონდში ამბობენ, საქართველოს ნახევარ მილიონ მოქალაქეს — მათ შორის უმეტესად ბავშვებსა და ქალებს — აღენიშნებათ მალნუტრიციის რომელიმე ფორმა. ეს კი, იმას ნიშნავს, რომ ისინი სრულად ვერ გამოავლენენ საკუთარ შესაძლებლობებს, როგორც მოსწავლეები, მუშაკები, მოქალაქეები თუ მშობლები. მალნუტრიციასთან დაკავშირებული ეროვნული ზარალის მასშტაბები ასეთია:

ყოველწლიურად 5 წლამდე ასაკის 300 ბავშვი იღუპება დედის ანემიის, მცირე წონის, ფოლიუმის მჟავასთან დაკავშირებული თანდაყოლილი ანომალიებისა და სუბოპტიმალური ძუძუთი კვების გამო.? რკინის დეფიციტით განპირობებული ბავშვთა შემეცნებითი განვითარების შეფერხებითა და ზრდაში ჩამორჩენით გამოწვეული მომავალი პროდუქტიულობის დანაკარგი წმინდა ამჟამინდელი ღირებულებით ყოველწლიურად 60 მილიონ აშშ დოლარზე მეტს შეადგენს. რკინადეფიციტური ანემიის შედეგად მანუალური სამუშაოს შემსრულებელთა პროდუქტიულობის დაქვეითებით გამოწვეული დანაკარგი ყოველწლიურად 20 მილიონ დოლარს შეადგენს.

ახალშობილთა წონის ნაკლებობა, ფოლიუმის მჟავასთან დაკავშირებული თანდაყოლილი ანომალიები და არაექსკლუზიური ძუძუთი კვება საჭიროებს სოციალური სერვისების გადაჭარბებულ მოხმარებას, რაც ყოველწლიურად 15 მილიონი დოლარის დანახარჯს შეადგენს.? 10 წლის განმავლობაში მალნუტრიციამ ქვეყანას 1.3 მლრდ ზარალი მიაყენა და 3400 ახალშობილის სიცოცხლე იმსხვერპლა.

იუნისეფში ამბობენ, რომ მარტივი, ხელმისაწვდომი და ადვილად განსახორციელებელი ნუტრიციული ინტერვენციების მეშვეობით შეიძლება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა და დაჩქარდეს მოსახლეობის ჯანმრთელობის, სოციალური და ეკონომიკური განვითარება.

თუ მთავრობა მიზნობრივ სოციალურ ფულად დახმარებას 50 პროცენტით გაზრდის (პენსიების ზრდასთან ერთად), ბავშვთა უკიდურესი სიღარიბე 9,4-დან 6,6 პროცენტამდე, ხოლო ბავშვთა ფარდობითი სიღარიბე 25-დან 21 პროცენტამდე შემცირდება.

მიზნობრივი სოციალურ ფულად დახმარების 100 პროცენტით გაზრდის შემთხვევაში (პენსიების ზრდასთან ერთად), ბავშვთა უკიდურესი სიღარიბე 9,4-დან 6 პროცენტამდე, ხოლო ბავშვთა ფარდობითი სიღარიბე 25-დან 18 პროცენტამდე შემცირდება.

მიზნობრივი სოციალური დახმარების ბენეფიციართა რაოდენობას გაზრდის შემთხვევაში კი, რომელთა შორის შინამეურნეობები მოიაზრება, რომელთაც რეგისტრაციისათვის მიმართეს მონაცემთა ბაზას, ზღვრული სარეიტინგო ქულის აწევის გზით ბავშვთა უკიდურესი სიღარიბე 9,4-დან 7,1 პროცენტამდე, ხოლო ბავშვთა ფარდობითი სიღარიბე 25-დან 21 პროცენტამდე შემცირდება, ხოლო თუ მთავრობა შემოიღებს ბავშვთა საყოველთაო შეღავათს 0-16 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე თვეში 30 ლარის ოდენობით, ბავშვთა უკიდურესი სიღარიბე 9,4-დან 3,9 პროცენტამდე შემცირდება.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სოციალური მომსახურების სააგენტო გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით გეგმავს სწორედ მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის გადახედვას და დახვეწას, რათა პროგრამამ უკეთ ასახოს ბავშვიანი ოჯახების საჭიროებები. ამ მიზნით ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც განსაზღვრავს აღნიშნული ინიციატივის პირობებსა და სხვა მნიშვნელოვან დეტალებს. მემორანდუმს ხელი მოაწერა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკომ, სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა ნოე ქინქლაძემ და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში საშა გრაუმანმა.

– 2013 წლის ივნისში იუნისეფის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე, რომელიც ბავშვთა ადრეულ ასაკში განვითარებას ეძღვნებოდა, საქართველოს მთავრობამ პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, იკისრა ვალდებულება, გაენახევრებინა ბავშვთა უკიდურესი სიღარიბე საქართველოში. ჩვენ მეტად ვაფასებთ მთავრობის დროულ და კონკრეტულ ნაბიჯებს ამ მიმართულებით. ბოლო რამდენიმე წელია, იუნისეფი ლობირებდა არსებული სოციალური დახმარების სისტემის გადახედვას, რადგანაც ის არ ასახავდა სათანადოდ ბავშვიანი ოჯახების ინტერესებს. მოხარულნი ვართ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ აღნიშნული სისტემის რეფორმირებაში, რათა ის უფრო მორგებული იყოს ბავშვის საჭიროებებს. საქართველოში უთანასწორობისა და სიღარიბის მაჩვენებლები ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ევროპაში, ხოლო ბავშვებს, რომლებიც იზრდებიან ღარიბ ოჯახებში, არ აქვთ შესაძლებლობა, განავითარონ საკუთარი შესაძლებლობები, რაც დიდი დანაკარგია როგორც ინდივიდის, ისე საზოგადოებისათვის, — განაცხადა გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საშა გრაუმანმა.

# გიორგი თარგამაძე ბათუმში უფლებადამცველებს შეხვდა

შეხვედრის მონაწილეებმა იმ პრობლემებზე ისაუბრეს, რომელიც დღეს შეზღუდული შესაძლებლობის პირებს სხვადასხვა მიმართულებით აქვთ და გარკვეული რეკომენდაციების პაკეტი შეადგინეს, რომლითაც როგორც არასამთავრობო სექტორი, ისე „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა" ხელისუფლებას მიმართავს, რათა შშმ პირების მდგომარეობა გაუმჯობესდეს.

„ყველას, ვისაც ესმის რა სირთულეებთან და ფინანსურ პრობლემებთანაა დაკავშირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდების მოვლა, ესმის თუ რამდენად გაუმართლებელი იყო დღეს ამ გადაწყვეტილების მიღება. იმის მაგივრად, რომ მაქსიმუმი გავაკეთოთ ბიუჯეტის ფარგლებში, რათა ამ ოჯახებს ფინანსური ტვირთი შევუმსუბუქოთ, მთავრობამ პრაქტიკულად მოატყუა და არ შეასრულა დანაპირები იმ ფორმით, რა ფორმითაც ის იყო გაცემული რამდენიმე თვის წინ", - განაცხადა თარგამაძე.

**პირველი**

# ნათელა პაატაშვილი: მსახიობს უფრო მეტი დაფასება სჭირდება!

ეკა ირემაშვილი

თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი ნათელა პაატაშვილი 50 წელია ამ თეატრის ერთგულია. წელს თეატრი დაარსებიდან 85 წლის იუბილეს ზეიმობს. როგორც მსახიობმა „ახალ თაობას" განუცხადა, მას განსაკუთრებული მოლოდინები აქვს და სჯერა, რომ თეატრში ყველაფერი კარგად იქნება და ის ძველ დიდებას დაიბრუნებს.

ქალბატონი ნათელა მსახიობი ტრავესტია, რაც იმას გულისხმობს, რომ მან ნახევარი საუკუნის განმავლობაში განასახიერა როგორც გოგო, ასევე ბიჭი, ქალი და კაციც კი. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია ზურაბი „სურამის ციხეში", ბურატინო „ბურატინოში", კარლსონი „კარლსონში", ბიჭი „კარლსონში". მთლიანობაში 80-მდე როლი აქვს ნათამაშევი და როგორც თვითონ ამბობს, თითოეულ მათგანს ყოველთვის დიდი პასუხისმგელობით ეკიდებოდა.

მსახიობის თქმით, მის ასაკში როლებზე აღარ ოცნებობენ, თუმცა აქვს ერთი ოცნება და სჯერა, რომ ის აუცილებლად აუსრულდება — ეს თემურ ჩხეიძესთან მუშაობა და მის სპექტაკლში თამაშია. როგორც „ახალმა თაობამ" გაარკვია, თემურ ჩხეიძემ მოზარდ მაყურებელთა თეატრის ხელმძღვანელს დიმიტრი ხვთისიაშვილს პირობა მისცა, რომ მომავალ თეატრალურ სეზონზე ამ თეატრში სპექტაკლზე მუშაობას აუცილებლად დაიწყებს.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი იყო ქალბატონი ნათელას მეუღლე ტარიელ გიორგაძე, რომელიც 3 წლის წინ გარდაიცვალა. მათმა შვილმა მამუკა გიორგაძემ კი მხატვრობა აირჩია და მთლიანად სახვით ხელოვნებაში ჩაეფლო.

**ნათელა პაატაშვილი:**

— 85 წელი ისეთი თარიღია, თეატრისთვის ნამდვილად უნდა იყოს ზეიმი. გეგმები თეატრში ძალიან ბევრია, რა შესრულდება და რა არა, ამას ყველა ერთად ვნახავთ. პირადად, რომ ვთქვა, რამე ისეთი მელოდება, ჯერჯერობით არაფერი ისეთი არ არის. ჩვენ თეატრში დავბრუნდით 7 თუ 8 თვეა, თეატრიდან ვიყავით წასულები.

***— თქვენ თეატრიდან გაშვებული მსახიობების გუნდში მოხვდით?***

— არა, მე თვითონ წავედი თეატრიდან. ხაფაავა, ბაღათურია, მაჭავარიანი და სხვები გაუშვეს 5 წლის წინ, შარშან გაუშვეს კიდევ 40 კაცი. თეატრში მქონდა შემოთავაზება, სპექტაკლი უნდა დამედგა. სპექტაკლზე უკვე ვმუშაობდი და არ გამათავისუფლა როგორც რეჟისორი, მაგრამ ჩავთვალე, რომ უნდა წავსულიყავი, რადგან ის ადამიანები და მსახიობები, ვინც მართლა აქამდე მოიყვანა თეატრი, გაშვებულები იყვნენ. ეს იყო ერთგვარი სოლიდარობის გამოხატულება, სუფთა ადამიანური ფაქტორი და თანაც არანაირი სურვილი აღარ მქონდა ამ თეატრში დავრჩენილიყავი. მაშინ შემომთავაზეს ახალი განაწილება, მაგრამ უარი ვთქვი, მივატოვე სპექტაკლიც, რომელზეც ვმუშაობდი, მივატოვე მსახიობობაც და თეატრიდან წავედი. მერე ჩვენ ყველამ ერთად ვიბრძოლეთ და 2013 წელს ყველანი დავბრუნდით — ძველი წასულებიც და ახალი წასულებიც, დაახლოებით 60-მდე ადამიანი დაგვაბრუნეს.

***— რამდენად სამართლიანად მოხდა ამ თეატრიდან ხელოვანი ხალხის გაშვება?***

— ნამდვილად არასამართლიანი იყო ის გადაწყვეტილება, რაც მიშა ანთაძემ მიიღო. უსამართლობა მეფობდა ამ თეატრში, ეს იყო კატასტროფა.

***— რას გულისხმობთ?***

— მსახიობს პირველ რიგში რა უნდა? შემოქმედება! შეიძლება სამუშაო არ მქონდეს, მაგრამ მქონდეს სამი თვის მერე, ხუთი თვის მერე. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ერთდროულად ხუთ სპექტაკლში ვთამაშობდე. ეს თეატრი შალვა გაწერელიას დროს მესამე თეატრად ითვლებოდა საქართველოში. ეს ათი წელი კი საერთოდ იყო კატასტროფა. კიტიას პერიოდშიც არ იყო სახარბიელო მდგომარეობა, მაშინ რემონტიც იყო შენობაში, შემდეგ მოვიდა მიშა ანთაძე და თეატრი საერთოდ თეატრი არ იყო. ეს იყო ჩვეულებრივი დაქირავებული დარბაზი, სადაც კონცერტები ტარდებოდა, სპექტაკლებიც კეთდებოდა, მაგრამ თითო-ოროლა ვინმე თუ დადგამდა სპექტაკლს.

***— თეატრი ჩაკეტილ სივრცეში ცხოვრობდა?***

— როგორც ფაბრიკა, ასე იყო აქ. ერთ თვეში თუ სპექტაკლი იყო საჭირო, უსწრაფესი ტემპებით დგამდნენ, ასეთი რამ არ გამიგია. დავბერდი თეატრში, 50 წელია თეატრში ვმუშაობ, ეს არ არის ცოტა, ეს მთელი ცხოვრებაა. 18 წლის ვიყავი თეატრში რომ მოვედი, დღეში ერთი სპექტაკლიც მითამაშია და სამიც, მაგრამ რაც ბოლო პერიოდში ხდებოდა, ეს იყო კინოსეანსივით. შემოქმედება არ იყო თეატრში. ფუნქციონირებდა თეატრი, განა არა. ხელფასებს ხან ვიღებდით, ხან არა. მერე ვიჩივლეთ, გავიმარჯვეთ, რაღაც პერიოდი გავუძელით ამ ყველაფერს. ახლა რომ გითხრათ, რომ რამე ისეთი ხდება, არაფერი განსაკუთრებული, პირადად ვფიქრობ, რომ უფრო მეტია საჭირო.

***— ჯერ მცირე დრო არ არის გასული უფრო მეტისთვის?***

— 7 წელი იყო ანთაძე, მაგრამ ახლა მესმის, რომ ცოტა დროა ჯერ გასული. არასოდეს ვიტყვი, რომ რატომ ჩქარა არ გაკეთდა-მეთქი, თანაც ქვეყანაში სრული ქაოსია, რა უნდა გაკეთდეს, ჯერ უნდა გავარკვიოთ. ასეთივე სიტუაცია დახვდა დიმა ხვთისიაშვილს ჩვენს თეატრში. სიმართლე რომ გითხრათ, დიმა ხვთისიაშვილს კი არ მივულოცე ამ თანამდებობაზე დანიშვნა, უცებ წარმოვიდგინე ჩემი შვილი მის ადგილზე და ნამდვილად არ ვუსურვე. გულწრფელად ვამბობ, შემეცოდა, რამხელა რამის წინაშე დადგა ახალგაზრდა ბიჭი.

***— რა მდგომარეობაა თეატრში მსახიობთა პროფესიონალიზმის მხრივ?***

— თეატრში იყო ძალიან ბევრი არაპროფესიონალი და ისინი დღესაც არიან. ამ ყველაფერს სჭირდება ლავირება. დიმამ ის კი არ გააკეთა, თეატრში მოვიდა და გააგდო აქ დარჩენილები. ეს არ იქნებოდა ადამიანური ჟესტი. ყველას გაუგრძელა კონტრაქტი და მერე ვნახავ თანდათან რა მოხდებაო. 6 თვის მერე მოხდა კასტინგი, გადაირჩა ხალხი, იანვარში კიდევ აპირებს მსახიობთა გადარჩევას.

***— კასტინგები მსახიობის პროფესიონალიზმს ხომ არ შეურაცხყოფს?***

— თუ რეჟისორმა არ იცის, როგორი მსახიობია, როგორ დააკავოს სპექტაკლებში ან როგორ დატოვოს მსახიობად? ერთბაშად დიმა ვერ დადგამდა იმდენ სპექტაკლს, რომ ყველანი ვყოფილიყავით დაკავებული. ზოგი იცის წარსულში რა გაუკეთებია, ზოგი დღეს რეპერტუარშია და ნახა. ვინც არ იცის და ვისშიც ეჭვი ეპარება, იმას სჭირდება კასტინგი. თუ გაქვს შენი თავის იმედი, გადი კასტინგზე, რა მოხდა? თუ რამე შეგიძლია, გააკეთე, რასაც გეტყვიან და მერე ისინიც მიხვდებიან რა შეგიძლია და უფრო ადვილად მოხერხდება მსახიობის დასაქმება და თეატრში დატოვება.

***— რამდენი ხანი იყავით უთეატროდ, როცა წახვედით?***

— არ იყო დიდი დრო, მაგრამ მაინც გამიჭირდა. ახლაც არ არის ისე, რომ ყველა ვიყოთ დაკავებულები, ამ წუთას რა რეპერტუარიც არის, ბევრი მსახიობი არ ვართ დაკავებული. არ შეიძლება ამაში რეჟისორის დადანაშაულება. ვფიქრობ, ეს თეატრი ყალიბდება და ახალ ცხოვრებას იწყებს. ეს ყველაფერი უნდა მოაგვაროს სამხატვრო ხელმძღვანელმა ჩვენი ხელშეწყობით და არანაირი ინტრიგებით. ეს ყოველთვის დამღუპველია, როცა ჩასაფრებული პოზიციიდან იყურები, ასე არსად არაფერი გამოგივა, არც თეატრში, არც ოჯახში და არც ქვეყანაში. შეიძლება ვიღაცას რაღაც შეეშალოს, მაგრამ თუ ეს ისე მოხდა, როგორც მიშა ანთაძეს ეშლებოდა, ხელფასს არ გვაძლევდა და სპექტაკლებს კი არა რაღაცებს დგამდა, მაშინ...

***— რატომ ითმენდით 7 წელი ამ ყველაფერს?***

— ვინც ვერ მოითმინა და ხმა ამოიღო, ისინი ადრე წავიდნენ თეატრიდან. რა თქმა უნდა, ჩვენც ამოვიღეთ ხმა, მაგრამ სამინისტროში არ გვიჩივლია. პირადად ველაპარაკებოდი, ცუდად არ ვიყავი მასთან, სპექტაკლის დადგმაც კი შემომთავაზა და „პატარა უფლისწული", რომელიც ქეთინო ხარშილაძემ დაიწყო, გავაგრძელე და დავასრულე, პლუს ვთამაშობდი ამავე სპექტაკლში მელიას. ქეთინომ ველარ დადგა თეატრის მიზეზის გამო, ანთაძემ ამოიღო სცენები, ძალიან ჩაერია, ხელი შეეშალა და მიატოვა სპექტაკლი. როგორც მთხოვა დირექტორმაც და მმართველმაც, დავამთავრე სპექტაკლი და პრემიერა ვუჩვენეთ.

***— მხოლოდ „პატარა უფლისწულზე" იმუშავეთ როგორც რეჟისორმა?***

— არა, შემდეგ შემომთავაზეს დამედგა კიდევ სპექტაკლი და ჩემი პიესა ავარჩიე „მე ქალაქიდან შენ ქალაქისკენ", ეს პიესა მამა პაისის ეძღვნებოდა, ძალიან რელიგიურ თემაზე იყო, საკმაოდ ფაქიზი ნაწარმოები, რომელიც გადავაკეთე პიესად. ორი თვე ვიმუშავე სპექტაკლზე, მაგრამ ველარ დავასრულე. კურთხევაც მქონდა აღებული, მქონდა იმის იმედი, იმ დონეზე მაინც გაკეთდებოდა სპექტაკლი, რაც საერთოდ იდგმებოდა, იმიტომ, რომ რეჟისორები არ მოდიოდნენ თეატრში, არაპროფესიონალები დგამდნენ. სიმართლე რომ გითხრათ, არც ის იყო საჭირო, რომ მე დამედგა სპექტაკლი. მსახიობი ვარ პროფესიით, 50 წელია ვმუშაობ, მიუხედავად ამისა, ძალიან დიდი პრაქტიკა მაქვს რეჟისორობის დარგში. მქონდა ჩემი საბავშვო თეატრი პროფკავშირების სასახლეში, პირველმა ჩამოვაყალიბე მუსიკალური თეატრი „წითელქუდა", მაქვს ძალიან ბევრი არქივი შემონახული, საბავშვო გადაცემათა რედაქციაში ვმუშაობდი პირველ არხზე, დადგმული მაქვს საბავშვო სპექტაკლები, გადაცემები, ხელოვნების კოლეჯშიც ვმუშაობდი, იქაც ვდგამდით სპექტაკლებს, პრაქტიკა საკმაოდ დიდი მაქვს. ჩემი მოწოდებაა ბავშვებთან მუშაობა, ჩემი სურვილი იყო, ბავშვებისთვის მიმეცა ის, რაც ამ ხნის მანძილზე შევიძინე საბავშვო თეატრში. გადავიღე ფილმად „რწყილი და ჭიანჭველა", რომელიც პირველ არხზე გადიოდა.

***— მსახიობი ტრავესტი — საკმაოდ რთული ამპლუაა...***

— დიახ, ეს არის მსახიობი, რომელიც თამაშობს პატარა ბიჭებს და გოგონებს. წლების მანძილზე ვთამაშობდი ასეთ როლებს. ადრე კომუნისტების დროს ტრავესტი მსახიობი პენსიაში გადიოდა 34 წლის ასაკში, მითხრეს პენსია გეკუთვნისო. ძალიან პატარა გარეგნობა მქონდა, ისედაც პატარა ვიყავი წონითაც, ზომითაც, ამ პენსიით თეატრიდან წასვლა არ გეკუთვნოდა, უბრალოდ, საკმაოდ რთული მიმართულებაა. წლები რომ მომემატა, სულ ვამბობდი დუბლი მინდა-მეთქი, 35 წელი ვითამაშე წითელქუდა. თვითონ შევედი შალვა გაწერელიასთან და ვუთხარი, აღარ მიხდება წითელქუდას თამაში-მეთქი. როცა ჩემს სპექტაკლზე მოვიდა ჩემი შვილიშვილი ლიზი და ბებო დამიძახა, ჩამოვედი სცენიდან, განცხადება შევიტანე გაწერელიასთან და იმის შემდეგ აღარ მითამაშია ეს როლი.



ამ წლების განმავლობაში ჩემი პარტნიორი იყო რეზო თავართქილაძე, მგელს თამაშობდა. ძალიან ბევრი მოგონება მაკავშირებს მასთან, ჩემი პირველი პარტნიორი იყო რეზო „ბორის ძნელაძეში". არაჩვეულებრივი ადამიანი და პარტნიორი იყო, ის ჩემი უახლოესი მეგობარი გახლდათ, ერთად დავდიოდით დასასვენებლად, ოჯახებით ვიყავით ძალიან ახლოს. თეატრისთვის მისი გარდაცვალება ძალიან დიდი დანაკლისია. რეზო იყო ერთადერთი და შეუცვლელი. არ შემიძლია რეზოსთან ერთად არ გავიხსენო ჩემი მეუღლე ტარიელ გიორგაძე, რომელიც 3 წელია გარდაიცვალა. ისიც ბოლო დღემდე სცენაზე იდგა. პირველად თეატრში რომ მოვედი, ჩემი დებიუტი შედგა ნოდარ იგივე ბიჭიკო ჩხეიძის, თემურ ჩხეიძის მამის სპექტაკლში „სათაგური", სადაც პატარა ბიჭი ვითამაშე. მაშინ გოგუცა კუპრაშვილმა თქვა, უკვე მაქვს უფლება, წავიდე თეატრიდან, რადგან ვნახე მსახიობი, რომელსაც პატარა ბავშვების თამაში შეუძლიაო. ქალბატონი გოგუცა სასწაული ადამიანი იყო, ვერ მიხვდებოდი სცენაზე ქალი იდგა, კაცი თუ ბავშვი. ეს სულ სხვა განზომილება იყო. თავიდან გოგონებსაც ვთამაშობდი, ბიჭებსაც და ქალებსაც. პირველი ჩემი მთავარი როლი, რომელიც ვითამაშე, იყო თემურ ჩხეიძის სპექტაკლში „შვიდფერა ყვავილი". პრემიერა ვითამაშე რვა თვის ფეხმძიმემ და ისე მეცვა, საერთოდ არ მეტყობოდა. ორსაათნახევარი სცენაზე იყო მოძრაობები, მაშინ პატარა ვიყავი, 20 წლისას არ მესმოდა, რამხელა დატვირთვა იყო ეს ჩემთვის. ნოდარ ჩხეიძე ჩემი პედაგოგი იყო პიონერთა სასახლეში და რომ დამინახა ამ თეატრში, ძალიან გაუკვირდა. 50 წელი გავიდა და ჩემთვის ყველაზე კარგი მოსაგონარია თემურ ჩხეიძესთან მუშაობა. ის მალევე გადავიდა მარჯანიშვილის თეატრში, მაგრამ ჩემთვის თემურ ჩხეიძეზე დიდი რეჟისორი არ არსებობს, ძალიან კარგად მესმოდა მისი. ძალიან სამწუხაროა, რომ მერე არ გაგრძელდა ჩვენი ერთობლივი მუშაობა. თუ ვინმე მკითხავდა, რა არის თქვენი საოცნებო როლიო, ყველას ვპასუხობდი, საოცნებო როლი არ ვიცი, მაგრამ სიამოვნებით ვითამაშებდი თემურ ჩხეიძესთან-მეთქი. რა თქმა უნდა, თეატრში იყვნენ ძალიან კარგი რეჟისორები, მათ შორის შალვა გაწერელია, რომელზეც იდგა ეს თეატრი. მთლიანად 78-მდე როლი მაქვს ნათამაშევი, ყოველ შემთხვევაში ასე დავითვალე თავის ბიჭებიან, გოგოებიან, ქალებიან, კაცებიანად. სხვათა შორის, კაცის როლიც კი ვითამაშე — კარლსონი. როცა ახალგაზრდა ვიყავი, ბიჭუნას ვთამაშობდი და როცა წლები მომემატა, კარლსონი ვითამაშე. ქეთევან ხარშილაძემ რომ მითხრა, კარლსონი უნდა ითამაშოო, ძალიან მეწყინა. მისი თვალდახუჭული მესმოდა, ბევრთან ეს არ გამომდიოდა, მაგრამ კარლსონის როლის ჩემთვის მოცემა ვერ გავუგე. ეს იყო ჩემთვის კოშმარი, თვალებში ცრემლები მომადგა, ვუთხარი, უკვე წლები მქონდა, ბიჭები დავამთავრე და ახლა კაცები უნდა ვითამაშო-მეთქი?! კაცი კარლსონი ქალს არასოდეს უთამაშია, ისე შემეშინდა, შოკი მივიღე. გავედი ოთახიდან და დავიწყე ტირილი. დამამშვიდა ქეთინომ და მითხრა, ნუ გეშინია, ეს შენი სათამაშოაო. რატო, რატო, რა ნახე ჩემში ასეთი, ახლა კაცი გავხდი-მეთქი?! რაღაცნაირად დამთრგუნა და არ მომეწონა მისი შემოთავაზება, მაგრამ ისე მომიდგა, დამიყოლია. ვფიქრობ, რომ არ წავაგე, ტყუილად ავიშალე ნერვები და ტყუილად ვიტირე.

***— რა შემთხვევაა, როცა მეუღლეები ერთი პროფესიის არიან?***

— ჩემზე არასოდეს ვიტყვი არაფერს, ეს სირცხვილიც არის, მაგრამ რაც მაქვს, ეს არის პროფესიონალიზმი. ამას იმიტომ ვერ ვპატიობ თეატრში, რომ ბევრი არაპროფესიონალი იყო მიშა ანთაძის დროს და ახლაც არის. შეიძლება ნიჭიერი არ იყო, მაგრამ იყო პროფესიონალი და პატივს სცემდე შენს პროფესიას, პირველ რიგში და მერე შენს პარტნიორს, შენს რეჟისორს, შენს კოლექტივს და შენს მაყურებელს. რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას, არანაირი პრობლემები არ გვქონია. მყავდა არაჩვეულებრივი მეუღლე, როგორც მსახიობი, ძალიან ნიჭიერი, უსაზღვროდ განათლებული, არანაირი პრობლემა მისი მხრიდან არ შემქმნია. ჩვენ ერთად ვიმუშავეთ თითქმის 47 წელი და გაუგებრობის მომენტი არ მახსენება. თეატრი ჩემთვის მეორე ოჯახია, ამიტომ არის, რომ თეატრში ბევრ რამეზე გული მწყდება.

***— და ამბობთ ამას ხმამაღლა?***

— კი. მსახიობს უფრო მეტი დაფასება უნდა, არც ანაზღაურებაა, არც საკმარისი ყურადღება, არის კიდევ რაღაცები, რაც არ მინდა ვთქვა. როცა თეატრში ხარ ნახევარი საუკუნე, ერთ-ერთი წამყვანი მსახიობი ვიყავი ამ თეატრის, უფრო სხვანაირად გინდა დაამთავრო შენი მოღვაწეობა თეატრში, სხვანაირად გინდა წახვიდე და არ წახვიდე ისე, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ამიტომ დიდი იმედი მაქვს დიმასი, ის ძალიან თეატრალი ბიჭია, განათლებული, ჭკვიანი და ვიცი, რომ ფიქრობს და წუხს მსახიობებზე, მით უმეტეს, როცა წლებშია ხელოვანი.

***— თქვენმა შვილმა არ ისურვა მსახიობობა?***

— უნდოდა ჩემს შვილსაც მსახიობობა, მაგრამ მხატვრობამ გაიმარჯვა. ნამდვილად არ ჩავრეულვართ მის არჩევანში. კარგად ვიცი, რომ მსახიობობა რთულია. ასევე არიან ჩემი შვილიშვილები, ორივეს უნდოდა მსახიობობა, დიდმა დაამთავრა უნივერსიტეტი, პატარა 17 წლის არის, საფრანგეთში სწავლობს და სიგიჟემდე უნდა მსახიობობა, თანაც აქ უნდა ჩაბარება. სხვათა შორის, კარგი მონაცემები აქვს. ჩემს შვილსაც ჰქონდა მონაცემები, მაგრამ ისე ბევრს ხატავდა, უკვე ვუყვიროდი. შუაღამემდე ხატავდა გაუჩერებლად, პეროები ეჭირა და ტუშით წვრილად რაღაცებს ხატავდა. პარალელურად, ჩვენს სპექტაკლებშიც თამაშობდა, ჩემი უფროსი შვილიშვილი ლიზიც თამაშობდა სპექტაკლებში, პარტნიორებიც ვყოფილვართ.

***— ქალბატონო ნათელა, ხათრის გამო როლი გითამაშიათ?***

— ხათრი არ ვიცი როგორ არის. იმის გამო, რომ მომცეს ეს როლი, არ მინდა, მაგრამ უნდა ვითამაშო. არასოდეს მითქვამს როლზე უარი! ჩემი საყვარელი როლი იყო ბურატინო, ამ როლის შესრულებისთვის მომცეს ჯილდოც და მთხოვეს მოსკოვის მუსიკალურ თეატრში დარჩენა. იმ წუთას უარი არ მითქვამს, შალვა გაწერელიამაც მითხრა, დაფიქრდი, უარი არ თქვაო. როგორც ხედავთ, დავფიქრდი და ახლაც აქ ვარ.

***— რა დატვირთვა აქვს თქვენთვის პარტნიორს?***

— უზარმაზარი. ნამდვილად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სცენაზე პარტნიორს. უკვე გითხარით, რომ სცენაზე ჩემი პირველი პარტნიორი რეზო თავართქილაძე იყო და კარგი პარტნიორი უკვე ძალიან დიდი გამარჯვებაა. ის ხელისშემწყობია, თუ როგორ ითამაშებ როლს, ეს წარმატების გარანტიაა. არაჩვეულებრივი პარტნიორი იყო ჩემი მეუღლე, აქეთ გიწყობდა ხელს. ახალგაზრდებში არ შემიძლია არ ვახსენო ნინო გურულიშვილი, ის რამდენიმე სპექტაკლში იყო ჩემი პარტნიორი და საოცარი მსახიობია. არიან კიდევ ახალგაზრდა მსახიობები, რომლებიც პარტნიორზე ფიქრობენ, თუმცა არიან მსახიობები, რომლებიც გამოდიან სცენაზე და თავისთვის თამაშობენ. არადა, მსახიობი რომ ხარ, ყველაფერი უნდა მისცე შენს პარტნიორს, ცოტა შენ დათმო, ცოტა იმან და ყველაფერი კარგად გამოვა. ადრე უფრო ბევრი იყო ასეთი შემთხვევა, ახლა — ნაკლებად. მაშინ ერთმანეთს ვუწყობდით ხელს, არანაირი შუღლი და ინტრიგა არ იყო, ერთი ოჯახივით ვიყავით, გასტროლებზე დავდიოდით, მთელი საქართველოს ბავშვებს ვემსახურებოდით, მოსკოვშიც ჩავდიოდით. დღეს თეატრში მაგალითად არიან მსახიობები, რომლებიც ჩემი მაყურებელი იყვნენ, დღეს არიან ჩემი პარტნიორები, ერთად ვმუშაობთ და ერთად ვართ. ასევე ჩემი მოსწავლეებიც არიან დღეს ჩემი პარტნიორები, მათ შორის გიორგი კაჭახიძე, რომელიც ჩემს სტუდიაში დადიოდა, მერე თეატრალურში ჩააბარა და ახლა ამ თეატრის მსახიობია. მინდა არა მარტო თეატრს, არამედ ქვეყანას ვუსურვო პირველ რიგში გამთლიანება, დამშვიდება, დაწყნარება. როგორც თეატრში ყველას უნდა ჰქონდეს თავისი ადგილი, ასე უნდა იყოს სახელმწიფოშიც. არ შეიძლება ვიღაცას, რომელსაც არ ეკუთვნის, გადაახტეს ვიღაცას, უღირსი არ უნდა იყოს ღირსეულის ადგილზე არც თეატრში და არც ქვეყანაში. ყველას თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს, შეიძლება მოკრძალებული, პატარა, ზოგს დიდი, მაგრამ ყველას უნდა ჰქონდეს თავისი ადგილი. სამართლიანობაა მთავარი, აბა რისთვის იბრძვის ეს ქვეყანა? სამართლიანად უნდა იყოს თეატრში ყველაფერი, რისი იმედიც მაქვს და ღმერთმა არ ქნას, რომ ეს იმედი თეატრის მიმართ, იმდენი რამ გადავიტანეთ ბოლო წლებში, გამიცრუვდეს. მინდა ისევ ისეთი იყოს ეს თეატრი, როგორიც იყო გაწერელიას დროს. მას ჰქონდა ნამდვილად ძალიან მაღალი დონის თეატრი, სულ სხვა რაღაც იყო, ყველაფრის მომსწრე ვარ, თაობებმა გაიარეს ჩემთან ერთად. ძალიან მინდა, რომ ახალგაზრდები ისევე იყვნენ, როგორც ჩვენ ვიყავით. ახლა განვითარდა ქვეყანა, ჩვენ წიგნებს ვკითხულობდით, სად იყო კომპიუტერი და მობილური ტელეფონი, მაგრამ პროფესიონალიზმი უფრო მაღალ დონეზე იყო და მსახიობი უფრო ფასდებოდა.

# ინგლისში მანჩესტერული დერბია, იტალიაში — რომაული




## ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 21.09 ნორვიჩი-ასტონ ვილა | 2.4 | 3.4 | 2.8 |
| 21.09 ვესტ ჰემი-ევერტონი | 2.87 | 3.3 | 2.4 |
| 21.09 ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი | 2.0 | 3.3 | 3.75 |
| 21.09 ნიუკასლი-ჰალი | 1.8 | 3.5 | 4.5 |
| 21.09 ლივერპული-საუთჰემპტონი | 1.61 | 4.0 | 5.0 |
| 21.09 ჩელსი-ფულემი | 1.28 | 5.5 | 9.5 |
| 22.09 კრ.პალასი-სუონსი | 3.0 | 3.4 | 2.3 |
| 22.09 არსენალი-სტოკი | 1.33 | 4.8 | 9.5 |
| 22.09 კარდიფი-ტოტენჰემი | 4.0 | 3.4 | 1.91 |
| 22.09 სიტი-მანჩესტერი | 2.15 | 3.3 | 3.4 |

**ნორვიჩი-ასტონ ვილა**

ნორვიჩი: ***ტრავმ***-რაიან ბენეტი, ელიოტ ბენეტი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-იორის ოკორე, ჩარლზ ნზოგბია

**ვესტ ჰემი-ევერტონი**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ჯო კოული, სტივ დაუნინგი, ალუ დიარა

